პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1939 Წ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲤᲐᲡᲘ 30 ᲙᲐᲞ. № 3 (90).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

თხუთმეტი წლის წინად შესწყდა მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელის **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** სიცოცხლე. მაგრამ მისი საქმე გამარჯვებულია, მისი საქმე სცოცხლობს და ჰყვავის, მას განაგრძობს ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი **სტალინი.** წლები, რომელთაც გაიარეს **ლენინის** გარდაცვალების შემდეგ, იყო მისი დიადი იდეების, ანდერძისა და წინასწარდასახულობათა ბრწყინვალე განხორციელების წლები.

ბოლშევიზმის გმირული მატიანის ყოველ ფურცელზე ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი **ლენინის** სახელი, მისი აზრისა და საქმის ძლევამოსილება, მისი პრინციპულობა და თავდადებული ბრძოლა, გენიალური შორსმჭვრეტელობა, ფოლადისებური სიმტკიცე, მისი მზრუნველობა და სიყვარული ხალხისადმი, რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისა. ცარიზმის ბატონობის საშინელ წლებში, მემამულეებისა და კაპიტალისტების წყობილების მძიმე პირობებში **ლენინმა** საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ პარტიას, განამტკიცა იგი მუშათა კლასის მტრებთან შეურიგებელ ბრძოლაში. ასე ჩამოყალიბდა **ლენინ-სტალინის** უძლეველი პარტია, ახალი ტიპის პარტია, სავსებით და მთლიანად განსხვავებული მეორე ინტერნაციონალის პარტიებისაგან.

„... ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები—იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი“, გვ. 435).

ლენინის გლოვის დღეებში სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობაზე დიდმა **სტალინმა** პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი, რომ ბოლშევიკები წმინდად შეინახავენ პარტიის წევრის დიად სახელს და თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან პარტიის მთლიანობას.

ეს ფიცი ბრწყინვალედ განხორციელებულია. ბოლშევიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ **ლენინისა და სტალინის** დიადი დროშის ქვეშ, ბოლშევიკურმა პარტიამ გასწმინდა თავისი რიგები უცხო ელემენტებისაგან, აამაღლა კლასობრივი სიფხიზლე, გაანადგურა ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინული კონტრრევოლუცია, ხალხის ეს სამგზის წყეული მტრები, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა ხალხმა აღგავა პირისაგან მიწისა ფაშისტურ მზვერავთა ბანდები და მომავალშიაც დაუნდობლად გაანადგურებს ყველას, ვინც ოქტომბრის უძვირფასეს მონაპოვართა ხელყოფას განიზრახავს.

დიდმა **სტალინმა** ფიცი დასდო, რომ ბოლშევიკები შეინახავდნენ და განამტკიცებდნენ პროლეტარიატის დიქტატურას.

ლენინის ანდერძი ბრწყინვალედ განხორციელებულია. ჩვენს ქვეყანაში აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები, საბჭოთა ხალხის დაუღალავამა შემოქმედებითმა ენერგიამ სასწაულებრივ ააყვავა ჩვენი ქვეყანა. შრომა დიდებისა და სახელის საქმედ იქცა. მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა თავის ბრწყინვალე ფურცლებზე შრომის, დასვენებისა და განათლების უძვირფასესი უფლებები. გაიფურჩქნა და აყვავდა თანმიმდევარი საბჭოთა დემოკრატიზმი, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოების არჩევნებმა ცხადჰყვეს საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, ხალხის მასების უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკების პარტიისადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგი **სტალინისადმი,** რომელსაც განუწყვეტლივ მიჰყავს ჩვენი დიადი სამშობლო გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ.

დიდმა **სტალინმა** ფიცი დასდო, რომ ბოლშევიკები მთელი ძალღონით განამტკიცებდნენ მუშათა და გლეხთა კავშირს.

აქაც ბრწყინვალე შედეგებთან გვაქვს საქმე. ორი მეგობრული კლასი — მუშები და გლეხები — მჭიდროდ დარაზმულნი **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ, ყოველდღე ახალ წარმატებებს აღწევენ; იშლება საზღვარი სოფელსა და ქალაქს შორის; მუშათა კლასი, საკოლმეურნეო გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია ერთი განუყოფელი სიხარულით, ერთი ბედნიერებით სუნთქავენ. მათი შრომისა და სიხარულის ყოველი დღე გაბრწყინვებული და შუქმოფენილია სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი სხივებით, მათი ყოველი ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ აამაღლონ სოციალისტური წარმოება, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, სოციალისტური კულტურა და ხელოვნება. სოციალიზმმა განუზომელ სიმაღლეზე აიყვანა ადამიანის ღირსება, შექმნა საშუალება მისი სულიერი ნიჭისა და ტალანტის ყოველმხრივ გაშლისათვის, ჩვენს ქვეყანაში ყველას შეუძლიან გახდეს გმირი და ამიტომაა, რომ ყოველი ახალი დღე გმირების ახალ სახელებს უმატებს საბჭოთა პატრიოტების სახელოვან არმიას.

თავის გენიალურ ფიცში დიდმა **სტალინმა** განაცხადა, რომ ბოლშევიკები განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირს.

აქაც — ისე, როგორც ყველგან და ყოველთვის — ბოლშევიკების სიტყვა საქმეს არ დაშორებია. აყვავდა და გაიფურჩქნა ხალხთა ერთიანი ოჯახი — დიადი საბჭოთა ქვეყანა, სადაც ურთიერთნდობის, სიყვარულის, მეგობრობის ატმოსფეროში სცხოვრობენ მრავალი ერები. **ლენინურ-სტალინურმა** ნაციონალურმა პოლიტიკამ აღორძინა და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა ყველა ხალხს, რომელიც ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს მიწა-წყალზე სცხოვრობს და რომელსაც რევოლუციამდე სულს უხუთავდა, ალრჩობდა და აწამებდა ცარიზმი, სტანჯავდა და ფეხქვეშ ჰქელავდა მემამულეებისა და კაპიტალისტების ხროვა. სსრ კავშირი ჩვენი ქვეყნის თავისუფალ ხალხთა კავშირს წარმოადგენს.

შემდეგ, ფიცში აღნიშნული იყო, რომ ბოლშევიკები არ დაზოგავენ ძალ-ღონეს იმისათვის, რომ განამტკიცონ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი. ახლა მთელი მსოფლიო ნათლად ხედავს წითელი არმიის, წითელი საზღვაო და საჰაერო ფლოტის ბუმბერაზულ ძლევამოსილებას. სტალინური ხუთწლედების შედეგად შექმნილმა სოციალისტურმა მრეწველობამ უზრუნველჰყო ჩვენი უძლეველი, კარგად ორგანიზებული წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის, ჩვენი ავიაციის შეიარაღება მაღალი ტექნიკით. ეს არის ფოლადისებური არმია, რომელიც ჰგუშაგობს ჩვენს სამშობლოს და იცავს მას ზღვაზე, ხმელეთზე და ჰაერში. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ახსოვს ბრძენი **სტალინის** მითითება, ერთი წუთითაც არ ივიწყებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ვანუწყვეტლად ზრუნავენ კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

და ბოლოს, დიდი **სტალინი** ფიცში აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკები არ დაზოგავენ სიცოცხლეს იმისათვის, რათა განამტკიცონ და გააფართოვონ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი.

ლენინის ეს ანდერძიც ბრწყინვალედ განხორციელებულია.

ჩვენმა ქვეყანამ დიდი **სტალინის** მეთაურობით ულამაზეს სინამდვილედ აქცია **ლენინის** გენიალური იდეები; **ლენინის** ანდერძი სავსებით და მთლიანად განხორციელებულია, საბჭოთა მილიონების ბედნიერი ცხოვრება — ეს არის ლენინიზმის ტრიუმფი, **ლენინ-სტალინის** იდეების ბრწყინვალე გამარჯვება.

როგორც დიდმა **ლენინმა** განავითარა და ახალ პირობებში გამოიყენა მარქსიზმი, ისე ხალხთა ბრძენმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** განავითარა **მარქს-ენგელს-ლენინის** მოძღვრება და წაიყვანა ჩვენი ქვეყანა წინ, კომუნიზმისაკენ. ბოლშევიკების პარტიამ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით გაამდიდრა **მარქს-ენგელს-ლენინის** მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამოცანის წარმატებით გადაჭრით. ჩვენში სოციალიზმი ცოცხალი სინამდვილეა, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება. ამხანაგმა **სტალინმა** აღნიშნა, „რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს; რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად“. სტახანოვური მოძრაობა ამზადებს პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად.

ამაყად ფრიალებს დედამიწის ერთ მეექვსედზე **ლენინ-სტალინის** დიადი უძლეველი დროშა.

ეს დროშა გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.—

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სიტყვა საბჭოების II სრულიად-საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 26 იანვარს

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ! ჩვენ, კომუნისტები, — განსაკუთრებული აგებულების ხალხი ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ — ისინი ვართ, რომელნიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას; არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ამხანაგი ლენინია. ყველას როდი შეუძლია იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლია აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, უზომო შევიწროებათა და გმირულ თავდადებათა შვილები—აი ვინ უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრები. აი რატომ არის, რომ ლენინელების პარტიას, კომუნისტების პარტიას, ამავე დროს ეწოდება მუშათა კლასის პარტია.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲒᲕᲔᲭᲘᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡ!

ამხანაგი ლენინი 25 წლის განმავლობაში ზრდიდა ჩვენს პარტიას და გამოზარდა იგი, როგორც მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ყველაზე გამობრძმედილი მუშათა პარტია. ცარიზმისა და მისი დამქაშების დარტყმები, ბურჟუაზიისა და მემამულეების სიაფთრე, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმები, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა, ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის ასპირიანი სიცრუე და ცილისწამება,— ყველა ეს მორიელნი განუწყვეტლივ თავს ატყდებოდნენ ჩვენს პარტიას მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მაგრამ ჩვენი პარტია იდგა, როგორც სალი კლდე, იგერიებდა რა მტრების უთვალავ დარტყმებს და მიჰყავდა რა მუშათა კლასი წინ, გამარჯვებისაკენ. მკაცრ ბრძოლებში გამოსჭედა ჩვენმა პარტიამ თავისი რიგების ერთიანობა და სიმჭიდროვე. ერთიანობითა და შემჭიდროებით მიაღწია მან მუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებას.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲩᲘᲜᲘ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ!

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი. მწვავე და მძიმეა მშრომელთა ტანჯვანი. მონები და მონათმფლობელნი, ყმები და ბატონები, გლეხები და მემამულენი, მუშები და კაპიტალისტები, ჩაგრულნი და მჩაგვრელნი,—ასე შენდებოდა ქვეყანა უხსოვარი დროიდან, ასეთად რჩება ის ახლაც ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. საუკუნეების განმავლობაში ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს მხრებიდან ჩამოეგდოთ მჩაგვრელები და თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი გამხდარიყვნენ. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ, გულში ჩაეჰმოთ დამცირება და შეურაცხყოფა, გულისწყრომა და სასოწარკვეთილება და აღეპყრათ თვალნი გამოუცნობ ცისაკენ, საიდანაც ისინი ელოდნენ ხსნას. მონობის ჯაჭვი რჩებოდა ხელუხლები, ანდა ძველ ჯაჭვს სცვლიდა ახალი, ისეთივე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შესძლეს მშრომელთა დაჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობა და მის მაგიერ მუშებისა და გლეხების ბატონობის დამყარება. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი ქვეყანა აღიარებს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია. ლენინის სიდიადე, პირველ ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა არ არის ხანგრძლივი, რომ შრომის სამეფო **შეიძლება** დამყარებულ იქნას თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს **მიწაზე** და არა ზეცაზე. ამით მან განთავისუფლების იმედით აანთო მთელი მსოფლიოს მუშების და გლეხების გული; სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲪ!

პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე. ეს —პირველი და ძირითადი საფუძველია საბჭოების რესპუბლიკისა. მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს ასეთი კავშირის უქონლად. მუშები ვერ შესძლებდნენ კაპიტალისტების დამარცხებას გლეხების მხრით მხარის დაჭერის გარეშე. გლეხები ვერ შესძლებდნენ მემამულეების დამარცხებას მუშების მხრით ხელმძღვანელობის გარეშე. ამაზე ლაპარაკობს ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის მთელი ისტორია. მაგრამ საბჭოების რესპუბლიკის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, —მან მხოლოდ ახალი ფორმა მიიღო. წინათ მუშათა და გლეხთა კავშირს სამხედრო კავშირის ფორმა ჰქონდა, რადგან ის მიმართული იყო კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ. ახლა მუშათა და გლეხთა კავშირმა უნდა მიიღოს ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმა, რადგან იგი მიმართულია ვაჭრისა და კულაკის წინააღმდეგ, რადგან იგი მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხების ურთიერთ მომარაგებას ყველა საჭირო საგნებით. თქვენ იცით, რომ არავინ ისე შეუპოვრად არ ატარებდა ამ ამოცანას, როგორც ამხანაგი ლენინი.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲦᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ!

საბჭოების რესპუბლიკის მეორე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირი. რუსები და უკრაინელები, ბაშკირები და ბელორუსები, ქართველები და აზერბაიჯანელები, სომხები და დაღესტნელები, თათრები და ყირგიზები, უზბეკები და თურქმენები, — ყველა ისინი ერთნაირად არიან დაინტერესებულნი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურა იცავს ამ ხალხებს ბორკილებისა და ჩაგვრისაგან, არამედ ეს ხალხებიც იცავენ საბჭოების რესპუბლიკას მუშათა კლასის მტრების მზაკვრობისა და თავდასხმისაგან თავისი თავდადებული ერთგულებით საბჭოების რესპუბლიკისადმი, თავისი მზადყოფნით თავი დასდონ მისთვის. აი რატომ ლაპარაკობდა დაუღალავად ამხანაგი ლენინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობის შესახებ, რესპუბლიკათა კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲝᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ!

პროლეტარიატის დიქტატურის მესამე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი. ლენინი არაერთხელ გვეუბნებოდა, რომ შესვენება, რომელიც ჩვენ ბრძოლით მივიპოვეთ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან, შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კერზონის ულტიმატუმთან და გერმანიაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ლენინი, როგორც ყოველთვის, მართალი იყო. მაშ შევფიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი.

უზარმაზარ სალ კლდეთ დგას ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოკეანით გარემოცული. ტალღები ტალღებზე ეხეთქებიან მას, ემუქრებიან რა წალეკვით და გადარეცხვით. კლდე კი სულ შეურყევლად დგას. რაშია მისი ძალა? არა მარტო იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირს, რომ ის გამოხატავს თავისუფალ ეროვნებათა კავშირს, რომ მას იცავს წითელი არმიის და წითელი ფლოტის ძლიერი ხელი. ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, მისი სიმაგრე, მისი სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს ღრმა თანაგრძნობა და ურყევი დახმარება მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების გულში. მთელი მსოფლიოს მუშებს და გლეხებს სურთ დაიცვან საბჭოების რესპუბლიკა, როგორც ამხანაგ ლენინის საიმედო ხელით მტრების ბანაკში გასროლილი ისარი, როგორც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის იმედების დასაყრდენი, როგორც საიმედო შუქურა, რომელიც უჩვენებს მათ განთავისუფლების გზას. მათ სურთ შეინახონ ის, და ისინი ნებას არ მისცემენ მემამულეებს და კაპიტალისტებს დაანგრიონ იგი. ამაშია ჩვენი ძლიერება. ამაშია ყველა ქვეყნის მშრომელთა ძლიერება. ამაშივეა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის უძლურება.

ლენინი საბჭოების რესპუბლიკას არასოდეს არ უცქეროდა, როგორც თვითმიზანს. იგი ყოველთვის მიიჩნევდა მას, როგორც რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისთვის აუცილებელ რგოლს დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც აუცილებელი რგოლი კაპიტალზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვების გაადვილებისათვის. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი გაგებაა სწორი არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ თვით საბჭოების რესპუბლიკის დაცვის თვალსაზრისითაც. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულების ანთება განთავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლებისაკენ. აი რატომ ჩაუყარა მან, პროლეტარიატის გენიალურ ბელადთა შორის უგენიალურესმა, პროლეტარული დიქტატურის მეორე დღესვე საფუძველი მუშათა ინტერნაციონალს. აი რატომ იღწვოდა ის დაუღალავად მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირის — კომუნისტური ინტერნაციონალის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

ამ დღეების განმავლობაში თქვენ ხედავდით იმ ათეულ და ასეულ ათას მშრომელებს, რომელნიც მოდიოდნენ ამხანაგ ლენინის კუბოსთან. რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ აქ, ამხანაგ ლენინის საფლავთან, ნახავთ მრავალ მილიონ მშრომელების წარმომადგენლებს. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ მილიონთა წარმომადგენლებს თან მოჰყვებიან ათეულ და ასეულ მილიონების წარმომადგენლები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან იმისათვის, რათა დაამოწმონ, რომ ლენინი იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა, არა მარტო ევროპის მუშებისა, არა მარტო კოლონიური აღმოსავლეთისა, არამედ მთელი დედამიწის მშრომელთა სამყაროსი.

ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ. ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲤᲘᲪᲡ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲚᲔᲜᲘᲜ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ.

„პრავდა“, № 23,
1924 წელი, 30 იანვარი.



ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ.

მხატვარი გ. ხუციშვილი



ვ. ი. ლენინი და **ი. ბ. სტალინი** პირდაპირ მავთულთან. 1918 წ.
მხატვარი პ. ვასილიევი

ლექსები ლენინზე

კალე ბოგოხიძე

ლენინი ჩემს ოთახში

მზემ ოქროს სხივი სტყორცნა იანვარს,
დილის რიჟრაჟის შვება მოჰქონდა,
და როგორც ბავშვმა ხუჭუჭთმიანმა
ღიმილით ჩემი სახლი იხილა.

სპეტაკი თოვლი შუქით შემოსა,
ეზო გაათბო ნათელ სხივით
და სხივთა კრთომის სახლში შემოსვლამ
ალმასებივით იწყო ციმციმი.

და ჩემს ოთახში ოქროს სტუმარი
შედგა, მაგიდას სხივი შეახო,
სადაც ლენინი იდგა მღიმარი,
ვინც ვანთიადი! კარი შეაღო.

მზემ ქანდაკებას უწყო ალერსი.
უმშვენიერესი ნახა მშობელი,
ნახა მნათობი უბრწყინვალესი,
გულში სინათლე დაუშრობელი.

ამ საოცრებას დიდხანს ვუცქერდი,
ოთახში იდგა შუქთა მწვერვალი
და განათებულ წიგნთა ფურცლებით
თავს მეფრქვეოდა სხივთ ნაპერწკალი.

ასეთი იყო ქვეყნის მნათობთა
შეხვედრა, შვებად გადმოვლენილი;
მზის სიხარული სითბოს მატებდა —
ეს სიხარული იყო ლენინი.

ლენინი კოლმეურნეობაში

არ არის თოვლი, ყინვა, არც წვიმა.
ტყეში ფოთლები ჩანან ქარვებად,
გაინავარდა ცაში არწივმა
მთის მდუმარების გასაქარვებლად.

ბარში ზვარია სხივდაფრქვეული,
კოლმეურნენი ფარდულს ავსებენ,
ყურძნის მტევნები გიშრისფერული
ცვრიან ვენახებს აალმასებენ.

ილხენს მიდამო. ისმის ნადური.
აქ ყველაფერი ოქროსფერია,
თავზე დავკვნათის ცა გაბადრული
და დიდ ბელადებს ჰიმნს უმღერიან:

— ტკბილად სახსოვარს დიდება ლენინს,
სტალინს დიდება, იყოს დღეგრძელი,
ძმებო, სიცოცხლე ვატაროთ ლხენით
ჩვენ წინ მივვიძღვის ბელადი ბრძენი!

ახდა ოცნება—ჩვენი მზისდარი,
ბერიას ზრუნვით გაზრდილ მდელოსი;
წინ მიდის გმირი—დილა ცისმარი,
აღმშენებელი საქართველოსი.

ლენინისადმი

გიორგი ქუჩიშვილი

ლენინ!
სად არ ხარ,
სად არ ვრცელდება
დიდი სტალინას
შენდამი ფიცი?
რაც ვვიანდერძე,
ხორციელდება
და ძლიერდება
გმირულ სიმტკიცით!
ხალხთა დიდიხნის
ნატვრა,
ოცნება
საქმით ცხადჰყავი
დიადო ლენინ
და დღეს სამყაროს
ესხივოსნება
ხალხთა ბელადი
სტალინი ბრძენი!
სტალინი —
რომლის
ფოლადის ნებით
ვიმარჯვებთ ყველგან,
ვიღებთ მწვერვალებს
და მისი დროშის
შუქთა თენებით
კრემლის ვარსკვლავი
ქვეყნად ელვარებს!
მძაფრი ბრძოლები
გამოვიარეთ,
უფრო უმძაფრესს
კიდევ მოველით,
მაგრამ ისეთ ცეცხლს
დავატრიალებთ,
რომ გაცამტვერდეს
მტერი ყოველი!

„ლენინი და გორკი"

20 იანვარს ა. მ. გორკის მუზეუმში იხსნება საინტერესო გამოფენა —„ლენინი და გორკი".

აქ თავმოყრილი იქნება ლენინის მიერ გამოთქმული აზრები მწერალზე. გორკისადმი მის მიერ გაგზავნილი წერილების ფოტოასლები. ცნობილია, თუ როგორი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ილიჩი დიდი მწერლის შემოქმედებას, დაწყებული 1899 წლიდან, როდესაც გორკი თავის ნაწარმოებებს ჰბეჭდავდა ლეგალურ მარქსისტულ ჟურნალ „ჟიზნში", ილიჩის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, როდესაც იგი ისმენდა გორკის „ჩემს უნივერსიტეტებს".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე გორკის მიერ გამოთქმული აზრები ლენინზე, პელნაწერი მწერლის ბროშურისა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი" და სხვა მასალები.

ლირიული ხმის პოეტი

შალვა აფხაიძე

1929 წელს გამოვიდა ლექსების პატარა კრებული. სულ 22 ლექსი იყო მოთავსებული ამ კრებულში. ლიტერატურულ წრეებში მის ავტორს, ახალგაზრდას და მოკრძალებულს, ვიქტორ გაბესკირიას ზღვის პოეტი უწოდეს. მთავარი თემა ამ ლექსებისა მართლაც ზღვა იყო, შავი ზღვა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სანაპიროებს კარგა დიდ მანძილზე ეალერსება თავისი დაუცხრომელი მღელვარე ტალღებით და რომელიც მანამდე ცოტას თუ ვინმეს გამოუყენებია თავისი შემოქმედების ობიექტად ქართულს პოეზიაში.

მთლიანად აღებულ ამ ლექსებში არა სჩანდა პერსპექტივა, ჰორიზონტი ბურუსით იყო დაფარული. ეს იყო უფრო საღამოს ბინდის პოეზია, საზოგადოებრივ პათოსს მოკლებული პოეზია. ამ ლექსებში მთავარი იყო რომანტიული უკანდახევა შორეულ, მითიურ თქმულებებისაკენ. მათ სამკაულს წარმოადგენდნენ მედეას, იაზონისა და არგონავტების აფრაგაშლილი იალქნები და მათი ტარებით დაუღალავი შავი ზღვის ტალღები. პოეტმა ამ ლექსებით დეკადენტურ საზოგადოებრივ შინაარსმოკლებულ პოეზიას თავისი მძიმე ხარკი გადაუხადა.

უკანასკნელ წლებში ვ. გაბესკირიამ შექმნა მთელი სერია ლირიკული ლექსებისა, რომლებშიაც იგი ცდილობს გადმოგვცეს ახალი განწყობილებები. ეს ლექსები უკვე გაწმენდილია იმპრესიონისტული კარჩაკეტილობისაგან, შეზღუდულობისაგან, რაც პირვანდელ მის ლექსებს ახასიათებდა.

უკანასკნელ ლირიკულ ლექსებში ჩვენი დიადი ცხოვრების, ხალისიანი სინამდვილის მაჯისცემა ისმის. მათში მკითხველს იზიდავს გრძნობის უშუალობა, ბუნებრიობა, ნათელი და მზიური ფერები, შინაგან ძალაზე დამყარებული დასაბუთებული ოპტიმიზმი.

პოეტი ჩვეული გზით მიდის: ეს გზა გაჯერებულია ლირიკის პათოსით, პოეზიის ინტიმური სამყაროს მზით, მაგრამ დიდი განსხვავებაა ძველ სამყაროსთან შედარებით! აქ პოეტის თქმა გარკვეული და მაღალხარისხოვანი შინაარსით სუნთქავს. ეს არის ჩვენი სინამდვილით, გამარჯვებული სოციალიზმით აღტაცებული ადამიანის განცდები.

ვ. გაბესკირია ლირიკის დაჯერებული პოეტია. ლირიკოსი პოეტი კი მძაფრ შინაგან წვას განიცდის. თითქოს სულს ცეცხლი ეკიდება და ასე მყარდება მისი ინტიმური კავშირი გარემოსთან.

ვ. გაბესკირიას პოეტური განწყობილება ანარეკლია ჩვენი საზეიმო სინამდვილისა, დედააზრისა, განწყობილებისა. იგი ემთხვევა საბჭოთა ჰუმანიზმის მიზანდასახულობას, მთავარ ხაზებში გამოხატავს საბჭოთა ადამიანის სულიერ მდგომარეობას.

პოეტი ახლად გამოქვეყნებულ ლექსებში მეორედ დაბადების სიხარულს განიცდის. ცხადია, ამ სიხარულის სიტკბოებას ვერ იგემებდა იგი, რომ სოციალისტურ სამშობლოს, განახლებულ ქვეყანას არ გაეშალა მის წინ ფართო ჰორიზონტი, არ მიეცა შინაარსი მისი მელოდიური სიმღერისათვის.

ვ. გაბესკირიას მთავარი ღირსება ის არის, რომ მან მონახა ინდივიდუალური ხმა, საკუთარი მანერა პოეტური თქმისა, გამოიმუშავა ორიგინალური და დამოუკიდებელი მიდგომა მოვლენებისადმი.

დამახასიათებელია ის, რომ პოეტი არ ღალატობს თავის საყვარელ თემას—ზღვას, მის შესანიშნავ პეიზაჟს, კოლხეთის ველებს. მაგრამ რა უფსკრულია ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ძველსა და ახალ ლექსებს შორის! თუ წინანდელ ლექსებში პოეტი სტატიურ პოზაში იდგა, თვალით წარსულს შესცქეროდა და უფრო წარსულის არომატით სტკბებოდა, ახლანდელ ლექსებში იგი მთელის გულითა და ხმით დღევანდლობაზე, მის ბედნიერ ხალხზე, მის მამოძრავებელ იდეებსა და ძალებზე მღერის. პოეტმა შექმნა მთელი ციკლი ლექსებისა განახლებულ, აყვავებულ კოლხეთზე, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი ეპიური გზნებით, უშუალო პოეტური ხილვითა და მხატვრული ეფექტებით. თუ პოეტი აქა-იქ ისევ მიმართავს ძველს, ამას სჩადის მხოლოდ იმ მიზნით, რომ წარსულისა და დღევანდელობის დაპირისპირებით შექმნას ამ უკანასკნელის მიმზიდველი და წარმტაცი სურათი.

ძველი ქალები ძველ მოთხრობებში
ნაპირთა მტირალ ტირიფებს ჰგვანან;
შენ კი ცხოვრებამ დაცვარულ ბაღში
და სიხარულში ამოგიყვანა.

„ძველი ქალები... შენ კი"...— ასეთის დაპირისპირებით და ძალდაუტანელი პოეტური სახეებით ავტორი იძლევა საამაყო ცხოვრების შესანიშნავ და თვალწარმტაც სანახაობებს, რომლებიც სადაფისფრად ბრწყინავენ.

პოეტის ლირიკული ლექსები ამაღელვებელი სიმღერაა ჩვენს მამაცს, შესანიშნავ ქალიშვილებზე, ჩვენს კოლმეურნეებზე, ჩვენს აღორძინებულ სოფელზე, საკოლმეურნეო პეიზაჟზე, რომელიც ასეთ აქტიურ როლს თამაშობს პოეტის შემოქმედებაში. იგი მოხერხებულად პოულობს უშუალობით სავსე სიტყვიერ მარაგს ბუნების გადმოსაცემად. ამასთან ეს უკანასკნელი ყოველთვის ცოცხალია, ნამდვილი, რეალური, მოკლებული ფანტასმაგორიულ ჰიპერბოლიზაციას. პოეტი შეგნებულად ერიდება ნაცნობ პოეტურ ხერხებს, სახეებს, ეპიტეტებს, მას სავსებით დამოუკიდებელი სტილი აქვს გამომუშავებული.

ეს არის თემის ორიგინალურად დამუშავება, მოვლენის საკუთარი თვალით დანახვა, ლექსის მფეთქავი გულით გათბობა. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავასახელოთ მისი ერთ-ერთი ლექსი—„დილით", რომელიც აგებულია ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მოვლენის—უმაღლეს საბჭოს არჩევნების თემაზე. როგორც გაბესკირიას ყოველი ლექსი, აღნიშნული ლექსიც სიუჟეტურია, მასში გარკვეული ამბავია მოთხრობილი. პოეტის უპირველ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ სიუჟეტური ლირიკული ლექსის მეშვეობით იგი გარკვეული ინტიმური განწყობილების შექმნას ახერხებს.

ამ თემაზე მრავალი კარგი და ღირსშესანიშნავი პოეტური ნაწარმოები დაიწერა, მაგრამ მათ შორის თავისი ორიგინალობით, სიახლით, სიცხოველით ეს ლექსი უთუოდ გამოირჩევა. მასში პოეტის ნაზი და მთრთოლვარე ხმა ისმის. ვ. გაბესკირია პატარა ბავშვის — ლიას სიტყვებით დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულს გადმოგვცემს. ამისათვის იგი არ მიმართავს ჩვეულებრივ პოეტურ მჭერმეტყველებას. მისთვის საკმარისია პატარა, თითქოს უმნიშვნელო, შეუმჩნეველი ჟესტი, რომ დიდი შინაარსი გადმოგვცეს. არ შემიძლია არ გავიმეორო აქ ეს მშვენიერი სტრიქონები:

„ჰკრთის თეთრ სარკეში სურნელოვან
წყლების სიმწვანე
და ფიქრობს ლია: „არჩევნებზე არ
წამიყვანეს".
ამშვიდებს დედა: „იქ ხომ ყველას
გაოცებდი,
რომ წამეყვანე; ან რა გესმის, ხმას ვის
მისცემდი?"
შეხედა დედას გაბუტულად,
თავისებურად
და გაუშვირა ხელი ბავშვმა სტალინის
სურათს".

ამ პატარა ეპიზოდში უბრალოდ, ბუნებრივად და სიფაქიზით სავსე გულით გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის უდიდესი სიხარული და სიყვარული დიდი **სტალინისადმი!** ლექსის იდეურ სიმაღლეს უფრო მეტად ადიდებს მისი მხატვრული სამკაული.

ასეთივეა მისი მეორე ლექსი „ბოლშევიკურ ყრილობას". ეს ლექსი მაღალ იდეურობასთან ერთად დეკორატიული, ორნამენტულია. საერთოდ დეკორატიული საწყისის შეტანა ლექსში პოეტის გარკვეული ტენდენციის შედეგია.

„ბაღად აქციეთ ვრცელ კოლხეთის
ველი, ტბორები
და იქ შეუშვით თქვენ ჩრდილების
ნიამორები,
ოქროს ბუჩქების, ოქროს ხეთა—
გალაღებული!
და მზის ჩასვლამდე დადის ბაღში მათი
კრებული".

ლექსები, რომლებიც განახლებულ კოლხეთს უმღერენ, მის გამარჯვებას შეჰღაღადებენ, ჩვენი გმირული ეპოქის მშვენიერ ეპოპეას წარმოადგენენ. ყოველი მათგანი იმდენად ძლიერია თავისი მხატვრული ღირსებით, შინაგანი მუსიკალობით და მოფიქრებით, რომ ძნელია რომელიმეს გამოყოფა და მასზე ცალკე გაჩერება.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ გამოიყოს „ალვისხე", ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი არა მარტო გაბესკირიას შემოქმედებაში, არამედ, ვიტყვი, ჩვენს ახლანდელს საბჭოთა პოეზიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსში, თითქოს ალეგორიის სახით, მოცემულია ჩვენი მზიანი სინამდვილის დედააზრი, საბჭოთა ჰუმანიზმის სიდიადე, სოციალიზმის ცხოველმყოფელობა. და ეს ისეთის მხატვრული ხერხით, ზომიერებით, გემოვნებით, სიღრმითა და ინტელექტუალური მოფიქრებით არის მოცემული, რომ არ შეიძლება მკითხველზე შთაბეჭდილება არ მოახდინოს. დავკმაყოფილდებით რამდენიმე ადგილის განმეორებით ამ ლექსიდან:

„იწვეოდა სხივებს ცვარი ისევ,
ვით ჟანგს,
რამდენჯერ მისი ფოთლის ცვენა ისე
დასრულდა,
რომ მასთან არვინ მისულა, თუნდ
საღამოს ჟამს,
მარტოდ დარჩენილს ზოგჯერ თითქოს
წაქცევა სურდა".

ასეთი იყო ადამიანის მდგომარეობაც ძველი, კაპიტალისტური წყობილების დროს ჩვენში. იგი განმარტოვებული, თავის ანაბარად იყო მიგდებული.

„მაგრამ დღეს, როცა ეს მიდამო
განახლებულა,
როს აელვარებს ცვარს ყვავილზე მზე
ყოველ დილით,
როს ოქროს ბუჩქით და ვარდებით
დასახლებულან.
ხე თითქოს იგრძნობს ამ სიხარულს,
და მისი ჩრდილი
ჩადის ეზოში, რომ ოდის წინ მინდორს
დამშვენდეს".

არა, ეს აკვიატებული ალეგორია აღარაა, ეს ჩვენი ცხოვრების ნამდვილი წარმტაცი სურათია, ჩვენი განახლებული და დაყვავილებული სიცოცხლეა:

„ის ზოგჯერ ღია ფანჯრიდან სახლშიაც
შედის
და ბალიშებზე მოშრიალე ფოთლებს
დახატავს.
ღამით, როს სოფელს მოსავს ძილი და
შუქი მთვარის,
ხე ინაბება, და ტოტები თუ ირხევიან,
მხოლოდ მაშინ, როს ღრუბლების ცას
გაარღვევს ქარი
და მნათობს ცისა შტონი მისი
შეეხებიან".

ბუნების ასეთი ხილვა, ცისა და მიწის ჰარმონიაში და ასეთ მთლიანობაში მოცემა მხოლოდ დასრულებულ პოეტ-მხატვარს შეუძლია. მართალია, სიტყვიერი მასალა, წყობა, რიტმი წარსულის რომანტიული ფიფქით არის თითქოს დაფარული, მაგრამ იგი ისეთ პოეტურ ასპექტშია გატარებული, ისეთის გზნებით არის დაწერილი, რომ სრული სიახლის შთაბეჭდილებას ჰქმნის.

ვ. გაბესკირია განსაკუთრებული სიმძაფრით გრძნობს კოლხეთის ბუნებას, მის ნაზსა და ხავერდოვან ლანდშაფტს და კიდევაც ახერხებს დაგვიხატოს იგი განუმეორებელი, მხოლოდ კოლხეთისათვის დამახასიათებელი მხიარული საღებავებით, გადმოგვცეს მისი იმანენტური სახე. „ევკალიპტები", „პალიასტომთან", „ბერძენ კოლმეურნე ქალს", „სურათები", „მინდვრად", „საღამო ზღვასთან",—ყველა ესენი, ერთგვარ შენელებულ ეგზოტიკასთან ერთად, ახლად შობილი ქვეყნის—კოლხეთის—მაჯისცემას იშვიათის ხელოვნებით გადმოგვცემენ. ამ ციკლის ლექსებიდან მაღლა [illegible] ლირიზმით ალსავსე ლექსი „ჩვენი მეგობრის ქალიშვილები". ამ ლექსში [illegible] ერთმანეთს დაპირისპირებულია— წარსულისა და დღევანდელობის და მკვეთრი კონტრასტის ფონზე მოცემულია კოლხიდის ბუნება. შესავალს მოსდევს მხატვრულად გამართლებული, ერთი მეორეზე უკეთესი სურათების სიმფონია. პოეტი წამიერად რომანტიზმის შუქით ნათდება და ისევ წარსულის ოცნებას გააცოცხლებს:

„ჩამავალ მზეზე, ზღვაზე ფიქრობდნენ,
ან იგონებდნენ შორეულ სოფლებს...
შეოცნებენი დღეს შესცქეროდნენ
როგორც ნიჟარის ყვითელ საფერფლეს".

ამას მოჰყვება ღია ფერების დაუცხრომელი ღელვა, და მკითხველის წინ იზრდება დღევანდელი ქალიშვილი, ბედნიერი, ცხოველი. სავსე გმირული სულითა და სილამაზით:

„ახლა თქვენ გზებით, ვისთვისაც
ახალ
ქვეყანამ შექმნა საქმე ულევი
და საქართველოს მზეში რომ დახვალთ
ვარდით და გიშრით დახატულები".

ასეთია ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ცოცხალი განცდა, მისი მშვენიერების გრძნობა. ეს შესანიშნავი ლირიკული გულის ნატეხი, შესაფერი აკორდითაც სრულდება:

„დაშორებულხართ წარსულს სრულიად,
დე, ძველი დარდიც წარსულში დარჩეს,
თქვენი კისკისი ნაკადულია,
თქვენი ღიმილი ნაპერწკლებს აჩენს".

აქ არაფერია მწიგნობრული. მკითხველის წინ გაცოცხლებულია ჩვენი გმირი ქალიშვილი, საბჭოთა ქალი, ცის ლურჯი სივრცეების დამპყრობი. ყოველ ბწკარში იგრძნობა პოეტის გულწრფელობა, სიყვარული.

ვ. გაბესკირიას ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს პირადი, ინდივიდუალური განცდის, ინტიმური გრძნობის ასპექტში საზოგადოებრივი პროცესების გადმოცემა. მისი, როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეტის, პირადი განწყობილება სარკეა, რომელშიაც მკაფიოდ ისახება სამყარო, რომელსაც იგი ხედავს. მთელ რიგ ლირიკულ ლექსებში ვ. გაბესკირია სოფლის, საკოლმეურნეო ცხოვრების შესანიშნავ, ბედნიერ და სასიხარულო ყოფას მეტად დამაჯერებელი, ამაღლებელი ოსტატობით ხატავს

უნდა აღინიშნოს, რომ პეიზაჟის გაცოცხლება ვ. გაბესკირიას ლექსებში ხშირად ერთგვარ განყენებულ სახესაც ღებულობს. არ შეიძლება პოეზიის მიზნად გადაიქცეს პეიზაჟის განყენებულად მოცემა, რომ მასში პოეტის ღელვა, ვნება, ცხოვრების პულსი არ სცემდეს. ვ. გაბესკირიას არ უყვარს ქარიშხლიანი, აზვავებული ზღვა ქაფა-ქუხილით. იგი მშვიდი, დაწყნარებული ბუნების ერთგულია.

ვ. გაბესკირიას ხშირად ლექსში არ შეაქვს პოლიტიკური სიმძაფრე. იგი თითქოს კმაყოფილდება მოვლენათა მხოლოდ თვითმიზნური ლირიკული ამღერებით. ეს არ არის გზა საბჭოთა პოეტისა. ვ. გაბესკირიამ თავისი ლექსები ღრმად უნდა გამსჭვალოს რევოლუციური იდეებით, პოლიტიკური სიმძაფრით, ბოლშევიკური იდეურობით, ისე რომ არ შეანელოს ლირიკული ამღერების ძალა. ამის შესაძლებლობა მას აქვს.

ვ. გაბესკირიამ უნდა დასძლიოს ეს სერიოზული მსოფლმხედველობრივი სუსტი მხარე სოციალისტური ეპოქის იდეების ორგანიულად ათვისებით და მისი შემოქმედებაში გამოსახვით. ვ. გაბესკირია შესძლებს პოეტური განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდეს და ახალი და ახალი საყურადღებო ნაწარმოები შესძინოს საბჭოთა პოეზიას.

ვ. გაბესკირიას შემდგომი პოეტური ზრდა და განვითარება მის მიერ მოწინავე რევოლუციური მსოფლმხედველობის, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის სრული ორგანიული დაუფლების გზით უნდა წარიმართოს.

„პირისპირ"

ლევან ასათიანი

ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირ"-ის მეორე ტომის გამოქვეყნება გასული წლის ლიტერატურული სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

უკვე ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაბეჭდილი იქნა და საბჭოთა მკითხველმა გაიცნო რომანის პირველი ნაწილი. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ინტერესი რომანის მეორე ნაწილისადმი, რომელსაც უნდა ეჩვენებინა მწერლის შემოქმედებითი ზრდა, მისი იდეური და მხატვრული მომწიფება, ოსტატობის გაღრმავება. რომანის მეორე ნაწილმა, — ეს უნდა აღინიშნოს კმაყოფილებით, — მართლაც გვიჩვენა, რომ ა. ქუთათელისათვის ხუთწლიან ინტერვალს უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მეორე ტომი, როგორც შინაარსის თვალსაზრისით, ისე მისი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებების მხრივ გაცილებით მაღლა დგას პირველ ტომზე, იგი შედარებით უფრო სრულყოფილ ნაწარმოებს წარმოადგენს და თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის სხვა თვალსაჩინო ნიმუშებს შორის სამართლიანად იკავებს თავის საპატიო ადგილს.

საბჭოთა მკითხველი იცნობს ქუთათელის რომანის ძირითად თემას: ეს არის ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკების ბატონობა საქართველოში, ეპოქა გამძაფრებული სამოქალაქო ომებისა, როდესაც ქართველი მუშები და გლეხები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ხელისუფლების დასამხობად და საბჭოთა წყობილების დასამყარებლად.

დიდმა **სტალინმა** თავის ცნობილ წერილში „ამიერ - კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით" მოგვცა ამ ეპოქის სოციალ - პოლიტიკური შინაარსის კლასიკური განსაზღვრა. „თებერვლის რევოლუციას,—სწერდა ამხანაგი **სტალინი**, — ა.-კ-ს მშრომელი კლასების მდგომარეობაში არსებითი ცვლილებანი არ შეუტანია... მთელი ხელისუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ხელისუფლებას და იცდიდენ, ხალისით აძლევდენ ნებას ესერ-მენშევიკთა სტრატეგებს მიეძინებინათ მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ და სხვ." *).

ალ. ქუთათელის რომანი ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენს პირველ დიდ მხატვრულ ტილოს, სადაც ფართოდ აისახა მენშევიკების პარპაში საქართველოში. რომანის პირველ ნაწილში სიუჟეტი იშლება უმთავრესად ქალაქის ცხოვრებისა და ბატალურ ეპიზოდების ფონზე. მეორე ნაწილში ავტორს მოცემული აქვს ქართული სოფელი „დემოკრატიულ სამოთხეში", გლეხობისა და მემამულეთა გამძაფრებული ურთიერთობა, ფრონტიდან დაბრუნებული, ბოლშევიკური იდეებით აღჭურვილი ჯარისკაცების აქტიური როლი გლეხობის შეურიგებელ ბრძოლაში მემამულეთა და მის დამცველ მენშევიკურ ხელისუფლების წინააღმდეგ. ავტორის სოციალური ხედვის არე რომანის მეორე ნაწილში შეუდარებლად უფრო ფართოა და ღრმა, ვიდრე პირველ ნაწილში. იგი არ კმაყოფილდება მარტო გლეხობისა და მემამულეთა ყოფა-ცხოვრების ჩვენებით, არამედ გვიხატავს ჩვენი იმდროინდელი ინტელიგენციის სახეს, რომელიც უკვე საკმაო სიმკვეთრით იყო დიფერენცირებული კლასობრივად გამიჯნულ, ანტაგონისტურად დაპირისპირებულ ბანაკებად.

ავტორი შესანიშნავად იცნობს იმ მასალას, რომელიც გამოუყენებია რომანში. სოციალური გარემოცვა, ასახულ ნაწარმოებში ორგანიულად ახლობელია და ნაცნობი მწერლისათვის. ამიტომ არის, რომ ზემო-იმერეთის სოფელი თავისი ყოფა-ცხოვრებით, ჩვეულებებით, ტიპებით. მთელი თავისი სპეციფიკით ასე დამაჯერებლად და ოსტატურად აქვს მას ასახული.

რომანში იშლება მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ტიპების გალერეია. აქ მკითხველი ეცნობა ჩვენი სოფლის მემამულეებს, ინტელიგენტებს, სტუდენტობას, გლეხებს, რევოლუციონერ-პარტიზანებს და სხვ. ეს მრავალრიცხოვანება ტიპაჟისა ხელს არ უშლის ავტორს მსუყე ფერადებით, ცოდნით და დამაჯერებლობით დაგვიხატოს მთავარი გმირები და მოგვცეს მათი კოლორიტული სახეები სათანადო სოციალური გარემოს ფონზე.

მთავარ ფიგურად რომანის მეორე ნაწილში გვევლინება ისევ სტუდენტი-ჯარისკაცი კორნელი მხეიძე. მისი პირადი თავგადასავალი: ცხოვრება და სასიყვარულო გატაცება ვითარდება დიდი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების ფონზე. მიუხედავად ასეთი ცენტრალური მდგომარეობისა სიუჟეტის განვითარებაში, ეს ყმაწვილი კაცი მეტად პასიურ პიროვნებად გვევლინება რომანში.

ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ ორს მკვეთრად გაყოფილ სოციალურ ბანაკს. რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არიან ჩაბმული ერთმანეთის წინააღმდეგ; ჩვენ ვხედავთ რევოლუციური შეგნებით გამსჭვალულ გლეხ ჯარისკაცებს—გელაშვილებს, ტურიაშვილებს, რომლებიც ქიათურელი მემაღაროელი მუშებისა და პროფესიონალ-რევოლუციონერების — ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სათავეში უდგანან გლეხების აჯანყებას ძჩაგვრელ-ექსპლოატატორ მემამულეთა და მათი დამცველი მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ; იწყება სასტიკი შეტაკება, სამოქალაქო ომი, რომელიც ითრევს მთელ სოციალურ ფენებს, და სხვათაშორის ჩვენი რომანის გმირებსაც და ამ დროს კორნელი მხეიძე, განდგომილი განზე, მხოლოდ პასიურ მაყურებელს წარმოადგენს ამ დიდი ისტორიული მოვლენებისას. ფაქტიურად მემამულეთა ბანაკში მყოფი, იგი თითქოს თანაუგრძნობს გლეხების სამართლიან მოთხოვნილებას, ამავე დროს თითსაც არ ანძრევს მათთვის დახმარების გასაწევად და თავისი პიროვნული დამოკიდებულების გამოსარკვევად დატრიალებულ სოციალურ მოვლენებისადმი. ორთაშუა მდგომი, უნებისყოფო, იგი პასიურ მოწმედ რჩება გარეშე სინამდვილის ფაქტებისა და არც კი შესწევს უნარი სათანადოდ შეაფასოს მათი მნიშვნელობა. მხოლოდ დიდი პოლიტიკური ხასიათის მოვლენების შემდეგ, როდესაც კორნელი თვითმხილველი შეიქნა გლეხობის დარბევის, სოციალური უსამართლობის შემაძრწუნებელი ფაქტებისა და სხვ., მის შინაგან სამყაროში იწყება გარდატეხა, მას ნელნელა ეხილება თვალი და წიგნის დასასრულს, როდესაც ჩვენი გმირი ბრუნდება ტფილისში, იგი ბრუნდება არსებულ წყობილებისადმი უკვე ანტაგონისტურად განწყობილ ადამიანად.

გაცილებით კოლორიტულნი და ორგანიულნი არიან სხვა ტიპები, თუნდაც ის გლეხი-ჯარისკაცები, რომლებიც ეხლა ვახსენეთ. გალაქტიონ გელაშვილმა, „მგელივით მუპლმაგარმა, გამრჯემ და მიწის მუშამ", იცის რისთვის და ვის ებრძოლოს. მას კარგად აქვს შეგნებული სოციალური უსამართლობა, იგი ნათლად ხედავს, რომ მენშევიკები ხალხის მტრები არიან: „[illegible] ბრძოლა, ამდენი წამება და სისხლი მეფე გადმოაგდეს, თავისუფლება მოიპოვეს. ბრძოლის ველიდან სამშობლოში, სოფლებში დაბრუნდნენ ნაომარი, განაწამები ჯარისკაცები-გლეხები და გლეხებს ისევ ეუბნებიან: როგორც ამდენხანს ცხოვრობდით, კვლავ ისე იცხოვრეთ. ნაღველი, კაეშანი შემოაწვა ჯარისკაცს... შაშხანა გამართა, პირი ზედაზნისაკენ აქნევინა, გულდაგულ დაუმიზნა უხილავ მტერს. მოულოდნელმა გრიალმა დაარღვია ბეცი ღამის წყვდიადი და სიჩუმე"...

გალაქტიონი კარგად არჩევს თავის კლასობრივ მტრებს, ამ მხრივ საინტერესოა მისი დამოკიდებულება კორნელისთან. „თუ ეს წყობილება არ დაინგრა, ასეთები,—ამბობს იგი კორნელიზე,—ერთიათასად გამრავლდებიან და დედას გვიტირებენ. მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ მაგათი მამულებისა და მიწა-წყლის მიღებაზე ფიქრს".

რომანში დახატულია საუცხოო ტიპაჟი გლეხკაცობისა. რა სრულყოფილია თუნდაც გალაქტიონის მამა გოჯასპირ, ან მოხუცი თეოდე ტურიაშვილი. გოჯასპირი შესანიშნავი წარმომადგენელია ქართველი მშრომელი გლეხობის, იგი გამოხატავს მის სიბრძნეს, მის შრომის მოყვარულობას, მის შეურიგებლობას უსამართლო წყობისადმი. გოჯასპირი შემკრებლობითი ტიპია, იგი სიმბოლიური სახეა ჩვენი ხალხის, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უტეხად ებრძოდა გარეშე და შინაურ მტრებს თავისი მიწა-წყლისა, თავისი სიმართლისა, თავისი ადამიანური თავისუფალი ცხოვრებისათვის. საერთოდ, გლეხის ტიპები უდიდესი ცოდნით აქვს დახატული ავტორს. რა საინტერესოა და დასამახსოვრებელი თუნდაც ჯაჯანა მენჯავიძე, მოხუცი გლეხი, — რომელსაც თავზე წისქვილი არ დაბრუნებია, თორემ დანარჩენი ყველაფერი განუცდია: მძიმე, წელში გამწყვეტი ჯაფა. მებატონეთა ძალადობა, შიმშილი, სილატაკე... მწარე ცხოვრებას მასში ერთგვარი „იმუნიტეტიც" გამოუმუშავებია. ჯაჯანა ცბიერია, ეშმაკი, დიპლომატი; თუ გოჯასპირი პირდაპირია და უტეხი, ჯაჯანა მოქნილია, შემპარავი, ანგარიშიანი. თუ გოჯასპირი საღრჩობელაზე ათავებს ცხოვრებას, ჯაჯანა ცდილობს შეეგუოს გარემოს და სარგებლობას გამორჩეს ამ შეგუებითაც.

ისე, როგორც რომანის პირველ ნაწილში, აქაც მკრთალი და უფერულია კორნელი მხეიძის სატრფოს, მაყაშვილის ქალის ადგილი რომანში. ეს ქალწული სავსებით შეეფერება თავის რომანის გმირს: იგივე პასიური, გონებრივად შეზღუდული, ყოველგვარ ინდივიდუალურ თავისებურობას მოკლებული ადამიანია, როგორც მისი მიჯნური. მის გვერდით როგორ სისხლსავსედ, ცოცხალ ადამიანებად გამოიცქირებიან სხვა ქალები — თუნდაც კორნელის დედა ტერეზა, ან მემამულე ოტია მდივნის ახალგაზრდა ცოლი ბაბო. ტერეზა ეკუთვნის ისეთ ლიტერატურულ ტიპებს, რომლებიც მკითხველს დიდხანს ამახსოვრდება. თავისი ხასიათის თვისებებით ტერეზას ქართულ მწერლობაში მოეპოვება წინამორბედი—ეს არის ოთარაანთ ქვრივი. ა. ქუთათელი დიდის ტაქტით და მხატვრული ზომიერებით გვიხატავს ამ ადამიანს. მის საქმიანობასა და ლაპარაკში, გარეგნობასა და ხასიათში მკითხველი გრძნობს ძლიერი პრაქტიკული ჭკუისა, მტკიცე ნებისყოფისა და დაუშრეტელი ენერგიის ადამიანს. ამავე დროს მისი სოციალურ-კლასობრივი ფიზიანომიაც გარკვევით და მკვეთრად მოსჩანს: ტერეზა იმ მემამულეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რევოლუციის წინა დღეებში ჯერ კიდევ წელმაგრად გრძნობდნენ თავს და მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ჩვენი სოფლის სინამდვილეში.

რომანი დაწერილია თანაბარი ეპიური სტილით. თავისი ენის დახვეწილობით, მხატვრული ადგილებით, პეიზაჟების აღწერის სიძლიერით მეორე წიგნი გაცილებით მაღლა დგას პირველზე.

რომანის უძლიერეს ადგილებს წარმოადგენს დიდის ექსპრესიით აღწერილი გლეხების აჯანყებისათვის მზადების სცენები, მათი აჯანყება და შეუპოვარი ბრძოლა მენშევიკურ გვარდიასთან.

პარალელურად ავტორი მძაფრი სატირული სიმახვილით გვიხატავს მემამულეთა ყოფაცხოვრებას, მათ ექსპლოატატორულ ბუნებას. მათ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ სამყაროს უდიდესი სოციალური კოლიზიების მომენტში.

ავტორის დამსახურებას შეადგენს ის გარემოება, რომ მან პირველმა ქართულ მწერლობაში დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახა ეპოქა ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. მან გვიჩვენა ის მწვავე სოციალური წინააღმდეგობანი, რომელიც ახასიათებდა ჩვენს სოფელს „დემოკრატიული" რესპუბლიკის სინამდვილეში, და მოგვცა მდიდარი გალერეია დაუვიწყარი სახეებისა, რომლებიც წარმოდგენას აძლევენ დღევანდელ საბჭოთა მკითხველს იმდროინდელ კლასობრივად დაპირისპირებულ სოციალურ ფენების შესახებ.

რომანის სიუჟეტური აღნაგობა ზოგიერთ შემთხვევაში არ ემყარება ეპიზოდების თანმიმდევრობის შინაგანად აუცილებელ, ურთიერთისაგან გამომდინარე ლოღიკურ კანონზომიერებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი გაუმძაფრებელი სიუჟეტური წყობითაც, ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების პანორამული გაშლით, სოფლის ყოფაცხოვრების დამაჯერებელი ასახვით, სოციალურ ფენათა წარმომადგენლების ცხოველი და კოლორიტული სახეების ჩვენებით ნაწარმოები მკითხველზედ ახდენს ძლიერსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას.

ალ. ქუთათელის რომანი „პირისპირ" შედის ჩვენი საბჭოთა პროზის ფონდში, როგორც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებთაგანი. იგი თავისი ლიტერატურული ღირსებებით გვიდასტურებს არა მარტო ავტორის შემოქმედებითს მომწიფებას, არამედ გვიჩვენებს მთელი თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის იდეურ-მხატვრულ ზრდა-განვითარებას.

---

*) იხ. ი. სტალინი: „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ". პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 82.



ფრიდრიხ შილერი

(ბალადა)

— ვინ არის უფრო უშიშარი და გამბედავი —
„იგი პაჟია თუ რაინდი სახელქებული?
ოქროს თასს ვისვრი და მას ჩანთქავს უფსკრული შავი
ზღვა უდაბური და მძვინვარედ აზვირთებული.
ვინც ამოიღებს — ვაჟკაცობა შესწევს ესდენი.
დე იყოს მისი საკუთრება, ალალი ძღვენი!“

ეს სთქვა მეფემ და დამშვიდებით გადაისროლა
ციცაბო კლდიდან ოქროს თასი უძირო ზღვაში,
ქარიბდის ტალღათ აზვირთებით უმატეს სრბოლას
და შეეჯახენ პიტალო კლდეს გრგვინვა-ვანგაშით.
— „აბა ვინ არის გამბედავი, უტეხი ნებით,
რომ გადაეშვას ბნელ უფსკრულში თავდავიწყებით?“

დგას მეფის ირგვლივ რაინდთა და პაჟთა კრებული,
ჰფლობთ უეცარი მდუმარება და შიშის ელდა,
და უცქერიან მღელვარე ზღვას გარინდებულნი,
ჩაეშვას ზღვაში თასისათვის ვერავინ ჰბედავს.
მეფე მესამედ იმეორებს: — „მაშ არვინ არის —
ჩაეშვას ზღვაში, — დაიურვოს ტალღა მძვინვარი?“

კვალად დუმილი... მაგრამ უცებ ლამაზ იერით,
კეთილშობილი და გულადი, მეტად თამამი,
წრეს გამოეყო პაჟი ზრდილი და ნებიერი,
მყის შემოიხსნა სარტყელი და წამოსასხამი,
გაცვიფრდა ყველა მისი მჭვრეტი კაცი თუ ქალი.
და ლამაზ ჭაბუკს გატაცებით მიაპყრო თვალი.

მივიდა იგი კლდის ნაპრალთან, რისხვად ქცეულის,
და დააცქერდა ადუღებულ მორევს, ქაფიანს,
ხედავს — ზვირთები უფსკრულისკენ უკუქცეული
მძაფრი ღმუილით ისევ კლდისკენ მიისწრაფიან.
თითქოს ისმისო შორეული ქუხილი მძლევი,
ბნელ წიაღიდან მოხეთქილნი იწევენ ზევით.

ყალყზე დგებიან და შხუიან შმაგ დაფეთებით,
შედუღებია თითქოს ურთერთს ცეცხლი და წყალი,
ცას ესხურება ანასხლეტი ქაფის შხეფები,
ტალღა-ტალღას სცემს და გაისმის გრგვინვა-გრიალი.
აღარ ისვენებს, არ ელევა ღონე და ძალა,
თითქოს ზღვა ლამობს ახალი ზღვა დაჰბადოს კვალად.

შემდეგ მშვიდდება სტიქიონის ზათქი, ზრიალი,
და გაიპობა სივრცე ზღვისა, ქაფად ქცეული,
ხახას დააღებს საშიშარი შავი ნაპრალი —
თითქოს გაიხსნა ჯოჯოხეთის გზა შორეული.
და ეშვებიან ბობოქარი ტალღათ ჯარები
იმ შავ უფსკრულში ზარდამცემი აზანზარებით.

ვიდრე ნაპირთან მიაღწევდა ზვირთთა ღვართქაფი,
ჭაბუკი გაჰქრა, ღმერთს მიანდო თავისი ბედი,
ირგვლივ გაისმა ზარდამცემი კივილი მძაფრი —
და აიზვირთა ჯიქურ მსრბოლი ტალღათა ქედი.
ნაპრალის პირი მოიკუმა, შეერთდა კვალი —
და მხნე ჭაბუკი შავ უფსკრულში მყის ჩაიმალა.

შემდეგ დამშვიდდა ზღვა მრისხანე, დასცხრნენ ზვირთები,
თუმცა უფსკრული კვლავ ნელინელ გუგუნით ღრენდა,
და ნაპირიდან შიშით სავსე გაისმა ხმები:
— „ოი ჭაბუკო, უშიშარო, მშვიდობა შენდა-“
უფრო და უფრო ყრუთ გაისმის გრგვინვა უფსკრულის,
ყველას საშინელ მოლოდინით უღელავს გული.

— „თვითონ გვირგვინი რომ გისროლა საკუთარ ხელით
იმ ბნელ უფსკრულში — თანაც გეთქვა მეფურ სიმშვიდით
ვინც ამოიღებს — იყვეს მეფე, ქვეყნის მფლობელი!
ვერ მომხიბლავდა მაინც ჯილდო ესოდენ დიდი.
რაც ზღვის სიღრმეში დაფარული სცოცხლობს, თავსდებს,
მას ვერ გაიგებს ვერასოდეს ვერ რა არსება.

„დაეჯახებია მოგუგუნე, მძაფრი ტალღები —
და ხომალდები ჩაუძირავს სასტიკ შეტევით,
და მოტივტივე ნამსხვრევები, გრძელი ანძები
გაუმაძღარი უფსკრულიდან უსვრია ზევით“.
ჩუ, კვლავ გაისმა, მოახლოვდა, ვით გრგვინვა ქარის,
ტალღათ შხივილი უეცარი, ზათქი, დგინდგარი.

ყალყზე დგებიან და შხუიან შმაგ დაფეთებით,
შედუღებია თითქოს ურთერთს ცეცხლი და წყალი.
ცას ესხურება ანასხლეტი ქაფის შხეფები.
ტალღა-ტალღას სცემს და გაისმის გრგვინვა-გრიალი
და ვით ვეება ვეშაპები, საოცარ ძლევით,
ბნელ წიაღიდან მოხეთქილნი იწევენ ზევით.

უცებ უფსკრულით ამოვარდნილ მძვინვარე მორევს,
ამოჰყვა რხევით — ნაპირისკენ გეზდევით მსრბოლი. —
მხარულ შეტევით მხნედ მოაპობს ზვირთების გორებს,
გზას მოიკაფავს სტიქიონთან სასტიკი ბრძოლით.
გახარებული — მეფისაკენ მოიწევს ნელა,
მაღლა აშვერილ ხელში ოქროს თასი უელავს.

ღრმად სუნთქავს იგი, მეტად მძიმედ და აღელვებით,
და ესალმება ცის სინათლეს — გულ-განახარი,
სიამის ნიშნად აღტაცების გაისმის ხმები:
— „ის ცოცხალია, ზღვა დასძლია, კვლავ ჩვენთან არის!
მან დაიურვა ზღვის უფსკრული — სამარე შავი,
გმირმა ჭაბუკმა სიკვდილისგან დაიხსნა თავი!“

ის მოდის, მოსდევს აღტაცებულ ხალხთა კრებული.
მივა მეფესთან, დაემხობა მის ფერხთან კრძალვით,
და თასს გადასცემს გამარჯვებით აღტაცებული.
მეფე — კი ამ დროს თავის ასულს ანიშნებს თვალით, —
იგი ოქროს თასს მჩქეფარ ღვინით პირამდე ავსებს,
ჭაბუკი ლაღი — დიად მეფეს მიმართავს ასე:

— „დიდება მეფეს, გაიხაროს, იყოს დღეგრძელი,
ვინც სცოცხლობს ხეტარ სინათლეში და ლაღად სუნთქავს,
იქ-კი, უფსკრულში, მეფობს მარად წყვდიადი ბნელი,
კაცის ვალია არასოდეს შესცადოს უფალს,
და არ ისურვოს ჩაიხედოს იქ, რასაც მარად —
იდუმალების და წყვდიადის ბურუსი ჰფარავს.

„როცა უფსკრულში გადავეშვი, ელვის სიმალით,
მყის შემეჯახა, კლდოვან მღვიმით ამოხასროლი —
შავი მორევი, საშინელი გრგვინვა-გრიალით,
ძალამ ორმაგი მდინარების, ველური სრბოლით,
თან წარმიტაცა ნაფოტივით და ვით ბზრიალა,
უგონოთქმნილი სასიკვდილოდ დამატრიალა!

„ვილუპებოდი, განსაცდელით სკდებოდა გული,
ვახსენე ღმერთი, ჩემი შემწე და გამკითხავი,
მან დამანახვა სიღრმით ბრაგა ამოზლუდული,
მოვავლე ხელი, დალუპვისგან ვიხსენი თავი.
იქვე ვიხილე, მარჯნის ტოტზე, თასი შთეხილი,
უფსკრულში შთანთქმას — სასწაულით გადარჩენილი.

„ქვევით უფსკრული გუგუნებდა მრუმედ გაშლილი,
მეწამულ ჯანღით და ბურუსით სავსე ნაპრალი,
სადაც სმენისთვის მეფობს მხოლოდ მარადი ძილი,
საშინელებას, თავზარდამცემს ვხედავდი თვალით.
სალამანდრების, ურჩხულების შავი ლაშქარი
ბორიალობდა შავ ჯურღმულში მიუსაფარი.

„დამრგვალებულნი, გასაოცარ კოშტების დარად,
წყვდიად სიღრმეში ფუთფუთებდნენ, ზარდამცემ რხევით.
შმაგი სკაროსნი — ეკლიანი ბუძგი რომ ჰფარავთ,
და მოჰყვებოდნენ მძვინვარ ზვირთთა ავარდნას ზევით.
კბილგაბასრული, საშიშ ღრჭენით, ზღვების აფთარი —
მოჰქროდა ჩემსკენ დიდი სკვალი, გაუმაძღარი.

„მე იქ ვეკიდე, ღრმა უფსკრულში სად მარად ბნელა,
მკერდში მითრთოდა მგრძნობიარე, მოყვასი გული.
და არ ველოდი არსაიდან ხსნასა და შველას,
ვეკიდე მარტო, ქვემძრომთ შორის მიტოვებული.
სად კაცთა სიტყვას ვერასოდეს ვერ ისმენს ყური,
და ურჩხულებით აღსავსეა ზღვა უდაბური.

„განსაცდელში მყოფს კვლავ დამეცა თავს შიშის ზარი,
ვხედავ, ასფეხა მოჰქრის ჩემსკენ, გაუძღომელი,
მიპირებს ჩანთქმას, დაუღია პირი საზარი,
დავკარგე გონი და კლდის ბრაგას შევუშვი ხელი.
მყის ამიტაცა შავ მორევმა შხეფების ფრქვევით,
და უხებლიედ, ჩემდა ბედად, მისროლა ზევით“.

ამ ამბით მეფე მბრძანებელი, გაოცდა დიდად,
წარმოსთქვა: — „ყრმაო, გამბედაო, შენია თასი,
და ეგ ბეჭედიც, იშვიათი, გაჩუქო მინდა,
პატიოსანი ქვით ნაჭედი, განძი ძვირფასი.
თუ ივაჟკაცებ, არ გიძუხთლებს მედგარი გული
და კვლავ მომიტან ამბავს შავბნელ ზღვისა უფსკრულის“.

როცა მოისმა მეფის ასულს — მგრძნობიერს, ლამაზს, —
მამის სიტყვები, სთხოვა: — „მამავ, ახებე თავი,
გემუდარები დაეხსენი საშინელ თამაშს,
მან შეასრულა რასაც ქვეყნად შესძლებს ვერავინ.
და თუ არ ძალგიძს დაიოკო სურვილი მაინც,
რომ შევისრულოს შენი ჟინი — უბრძანე რაინდს!“

მაგრამ, უეცრად კვლავ დასტაცა მეფემ თასს ხელი,
პირი იბრუნა, გამალებით ისროლა ზღვაში.
— „თასის მოტანა ჩემთვის პაჟო კვლავ თუ შესძელი
უსაყვარლესი შენ გახდები რაინდი მაშინ.
ჩემი ასულის შეიქნები ქმარი რჩეული,
შენს შებრალებას რომ მოითხოვს, გრძნობად ქცეული“.

ციურმა ძალამ აათრთოლა ჭაბუკის სული,
გამბედაობის გრძნეულ ცეცხლით აენთო თვალი,
ხედავს — წითლდება, ხან ფითრდება მეფის ასული,
მუხლთ ეკეცება, გარემოცულს თრთოლა-კანკალით.
— „ბედნიერება, ან სიკვდილი!“ — იელვებს მასში
გრძნობა ფარული და ეშვება ბობოქარ ზღვაში.

კვლავ მოგორავენ ნაპირისკენ, აგრიალებით,
მძაფრი ზვირთები და გაისმის გუგუხი მძლევი,
მეფის ასული სიყვარულით სავსე თვალებით
გასცქერის მორევს, უფსკრულიდან ამოსულს ზევით. —
უკუქცევის ჟამს საზარლად რომ აგუგუნდება.
მაგრამ ჭაბუკი არსადა სჩანს, აღარ ბრუნდება!

თარგმნილი გერმანულიდან
ხარიტონ ვარდოშვილის მიერ.

ბ ე ს ი კ ი

ალ. ბარამიძე

ბესიკი ერთგვარი ლიტერატურული ფსევდონიმია მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილისა. ბესიკმა მძიმე, მაგრამ შინაარსით მდიდარი ცხოვრების გზა გაიარა და შემოქმედებითი ზეობის მწვერვალს ასული, ბესარაბიის ცის ქვეშ გარდაიცვალა იანვრის სუსხიან დილას.

დაიბადა ბესიკი 1751 წელს. ის იყო შვილი თეიმურაზ მეორის კარის მოძღვრის და ნიჭიერი მწერლის ზაქარია გაბაშვილისა. ბესიკმა თავის დროისათვის კარგი განათლება მიიღო, მაგრამ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ გაბაშვილთა ოჯახს თავს დაატყდა საშინელი უბედურება. ზაქარიას განხეთქილება ჰქონდა კათალიკოზ ანტონ პირველთან, რომელსაც მფარველობდა მეფე ირაკლი, უთანასწორო ბრძოლაში ზაქარია დამარცხდა. მას ჩამოართვეს მღვდლობის ხარისხი, განჰკვეთეს ეკლესიიდან, შეაჩვენეს და გააძევეს ქართლ-კახეთიდან. მაშინ ქართლ-კახეთს დიდ ქიშპობას უწევდა იმერეთი. იმერთა მეფე სოლომონს აშინებდა ირაკლის გაძლიერება. სოლომონი ფიქრობდა, რომ ირაკლი მას მეფობას ჩამოართმევდა და იმერეთსაც შეიერთებდა. ამ ნიადაგზე მათ შორის საშინელი მტრობა მძვინვარებდა. იმერეთის სამეფო კარი იზიდავდა, ეხმარებოდა და მფარველობდა ირაკლით უკმაყოფილო პირებს. ასევე იქცეოდა ირაკლიც. ტფილისის სასახლე სავსე იყო იმერელი ემიგრანტებით.

ქართლიდან გაძევებული ზაქარია ჯერ რუსეთში წასულა (რუსეთში ზაქარიას ეგულებოდა ირაკლის მოქიშპე ბაგრატიონები, ვახტანგ მე-6-ის ჩამომავალნი), ხოლო რუსეთიდან იმერეთისაკენ გამგზავრებულა. შეჩვენებული ნამოძღვრალი სოლომონს კარგად მიუღია, მფარველობა აღუთქვამს და საპატიო თანამდებობაზედაც დაუნიშნავს. კათალიკოს ანტონ პირველის წყალობით ქართლიდან გაუგდიათ ბესიკიც და გაბაშვილთა ოჯახის სხვა წევრნი. ყველანი სოლომონთან გაშურებულან და არც მოტყუებულან ანგარიშში. სოლომონს მათთვის პატივი არ დაუკლია. ქუთაისში უქიმერიონზე, ბაგრატის ტაძრის ჩანგრევების მახლობლად, ახლაც უჩვენებენ „გაბაშვილთა გორას“. სწორედ ეს ყოფილა ბესიკისა და იმის მამის საცხოვრებელი ადგილი. როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენია სოლომონს ახალგაზრდა, განათლებული, ნიჭიერი და უკვე სახელმოხვეჭილი პოეტის ბესიკის მიმართ. ბესიკი ჯერ დაუნიშნავთ სამეფო მდივნების უფროსად („მდივანთუხუცესად“), ხოლო შემდეგში უფრო პასუხსაგები დიპლომატიური საქმეები მიუნდვიათ. 1779 წელს ბესიკმა ირანში იმგზავრა დიპლომატიური მიზნით.

1784 წელს გარდაიცვალა სოლომონ მეფე. ამის შემდეგ ტახტზე ავიდა სრულიად ახალგაზრდა და სუსტი ნებისყოფის პატრონი დავით მეორე. დავითის მეფობისას ძალზე გაიზარდა ბესიკის მნიშვნელობა იმერეთის სახელმწიფოში. სხვათა შორის, ენერგიული და მომხიბლავი ბესიკი დაახლოვებია ცოტა არ იყოს ნაქრაზი ყოფაქცევით ცნობილს ანა დედოფალს, დავითის მეუღლეს, და ქვეყნის ფაქტიური მართვა-გამგეობა ხელში ჩაუგდია. ანას შთაუგონებია ბესიკის მრავალი შესანიშნავი ლექსი და მათ შორის ვირტუოზული „დედოფალს ანაზედ“.

1783 წელს ირაკლი მეფემ აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა და ცნობილი ხელშეკრულება („ტრაქტატი“) დადვა ეკატერინე მეორესთან. ასევე მოინდომა იმერეთმაც. მოლაპარაკებისათვის დავით მეფემ რუსეთში გაგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისია. მისიის მეთაურად დაინიშნა ბესიკი. ბესიკმა იმგზავრა პეტერბურგში. პეტერბურგიდან მისია მიავლინეს ფელდმარშალ პოტიომკინთან, რომელიც მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობის საკითხებს. ბესიკს მოუხდა ცხოვრება პოტიომკინის ბანაკში ჯერ კრემენჩუგს (უკრაინაში) და შემდეგ იასაში (ბესარაბიაში).

ბესიკმა დიპლომატიური მოღვაწეობის ასპარეზზედაც ცხადჰყო თავისი შესანიშნავი ნიჭი. მოლაპარაკება ბრწყინვალედ დააბოლოვა და როდესაც საქმე პრაქტიკული განხორციელების სტადიაში იმყოფებოდა, მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. იასას 1791 წლის 25 იანვარს. ბესიკი დაასაფლავეს იქვე, იასაში.

ბესიკის პოეზიის ძირითადი მოტივია სიყვარული. ძველი ეპოქის ლირიკოსებიდან ბესიკმა ყველაზე უფრო საგნობრივად, კონკრეტულად, ცხოვლად და მხატვრული უშუალობით ასახა მძაფრი სატრფიალო განცდები. ბესიკის პოეზია ამ მხრით მოკლებულია მშრალ, განყენებულ მწიგნობრულ სამიჯნურო რეზონიორობას. ბიოგრაფიული ფაქტებით ცნობილია, როგორი წრფელი ლირიზმითაა აღბეჭდილი ბესიკის მთელი რიგი შედევრები („სევდის ბაღს“, „მე მივედი მაგა შენსა გრალებსა“, „დედოფალს ანაზედ“, „ტანო ტატანო“ და სხვ.). სიყვარულის გრძნობას ბესიკი განიცდის ორგანიულად, ღრმად და ძალუმად. პოეტი მზადაა საკუთარი მე-ს უარყოფით სამარადისო ძეგლად დაედვას ტრფობის სამსხვერპლოს, თუმცა ადამიანური წაყვედრებითაც ხშირად შესჩივის უმადურ სატრფოს:

მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა
არ გამეც!

ბესიკის შეხედულებით, სიყვარული მაგნიტურად მიმზიდველი ვეება კოცონია, მიზიდულს რომ ნთქავს და ანადგურებს. პირფერად მოღიმარი მიჯნურის სახეს ასე წარუტაცნია პოეტის გული, გაულევია და დაულუპავს:

მღიმარის პირით წამეპარე, დამიდგი
მახე,
ასე მეგონა შემრჩებოდა ეგ შენი სახე,
ანთებულს ცეცხლსა შესაწველად ხელი
შეგახე.

პოეტი უპრეტენზიოა თავის სურვილებში, ის მხოლოდ სიბრალულს ითხოვს და ლმობიერებას: „დამწვარი მაინც შემიბრალე, ბესიკი ნახე“. სატრფო კი ჭირვეულობს, მედიდურად გულზვიადია, თითქოს კიდევაც ექვიანობს, აუტანელი გულცივობით კარებზე მიუთითებს მხურვალე გრძნობით შეპყრობილ პოეტს. ირონიული გესლიც ინთხევა სატრფოს ბაგიდან:

ხელი აიღევ მაგ სავანებით,
შემწე იძიე ბანის-ბანებით,
აგრე ვერ მომკი ვარდსა ყანებით!
. . . .
სხვას გირჩევ გზასა და სხვას ძალებსა!

მომჯადოებელი გრძნობიერებით და მხატვრული უბადლოებით განაგრძობს პოეტი თხოვნას:

შენის ბაგისა ორნი მეცნეს, ტკბილი და
მწარე,
ორკეცად შენი სიყვარული თავს
დამაფარე.

ბესიკი აგრძელებს „ვარდ-ბულბულიანური“ პოეზიის ტრადიციებს. ბესიკის ჩვეულებრივი სიმბოლიკაა სატრფო — ვარდი, მოტრფიალე — ბულბული. სანეტარო მიჯნურის გულის სამყაროს მკაცრი მებაღე სდარაჯობს გამუდმებულად. მებაღეს სისხლი ცივი აქვს და გრძნობა გაყინული. უგულო და მიუსაფარი მკვახედ პასუხობს ნაზი ბულბულის სიყვარულით სავსე ვედრებას, გულაჩუყებულ მკვნესარე მგოსანს ტლანქად უკეტავს ალსავლის კარებს, ცივად აძევებს ტრფობის ბაღიდან. უთანაგრძნობო და შერისხული პოეტი სიკვდილს ინატრის:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის
სული!

ბულბულის სახეც ბესიკის პოეზიაში კონკრეტულია, აქ სრულიად წარხოცილია მისტიკური ალეგორიზმის სარჩული. ამ სახეს პოეტი საუცხოოდ იყენებს მძაფრი ლირიკული განწყობილების გადმოსაცემად. ნაზი, გრძნობიერი და მორჩილი ბულბული თვითონ პოეტია, ზრუნვით რომ დასტრიალებს რომანტიულ „სევდის ბაღს“ და ნაღვლიან ჰანგზე შეწყობილ სიყვარულის წარმტაც ჰიმნებს უგალობს სატრფოს სამყოფელს.

ბესიკის ძლიერი და მგზნებარე სიყვარული ხორციელია, მიწიერი. ეროტიკა და ჰედონიზმია მისი სახელი. პოეტს ახელებს და გრძნობას უტყვევებს სატრფოს ფეერიული რიტმული რხევა, ვნების აღმძვრელი მისი „ციალი“. „კვლავ მომკლა მისმა ციალმან და წელთა მიმოტანამან“—ამბობს ბესიკი ანა დედოფლის სახელობაზე დაწერილ ლექსში. პოეტს იტაცებს სატრფოს გარეგნული მოხდენილობა, კეკლუცი ტანი. სატრფოს სხეულის შნო და ლაზათია სატრფიალო ექსტაზს რომ იწვევს. სატრფოს ლამაზი სხეულითაა შთაგონებული ბესიკის შემოქმედებითი შედევრი „ტანო ტატანო“. ტიტანური მხატვრული ძალით აღუბეჭდია აქ ბესიკს ქალის სხეულის მთელი გრაცია. სილამაზე აყვანილია კულტის ხარისხში.

ბესიკისათვის უცხო არ არის არც სევდანაღველი და კაეშანი. სამაგალითო სიმახვილით ამბობს პოეტი:

სევდის ჟამი ვსვი, გულს დავისვი
ეკალთა ნარი...

წუთისოფლის პრობლემა ბესიკისათვის არსებითია. პოეტი თითქოს სიკვდილის იდეალად აღიარებამდინაც კი მისულა. ამჟღავნებს უპერსპექტივობას და უიმედობას, მისი მელანქოლია მძაფრია და მყარი. ერთი შეხედვით ეს თითქოს იოლი ასახსნელია. მაინცდამაინც ბესიკი თავადაზნაურული საზოგადოებრიობის ღვიძლი შვილია, გაჟღენთილია ამ საზოგადოებრიობის იდეურობით. მე-18 საუკუნის საქართველოში ფეოდალურ-არისტოკრატიული კლასი ბატონობს, ეს კლასი მეთაურობს ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, თუმცა საკმაოდ შერყეულია მისი დიდება. უპერსპექტივო მომავლის აჩრდილებიც ცხადლივ იშლება. აქედან ბესიკის მელანქოლიის სოციალური ძირი. მაგრამ ეს იქნებოდა საკითხის გაიოლება სოციოლოგიურ სქემის მიხედვით. ნამდვილად კი ბესიკის მელანქოლიას ისევ სიყვარულის გრძნობა განსაზღვრავს. ბესიკის ურვას სატრფიალო ურვის თვისება ახლავს. ბესიკის „სევდის ბაღი“ და „სევდის ლაშქარი“ სატრფიალო წყურვილის დაუკმაყოფილებლობის სიმპტომს ამჟღავნებს. სიკვდილის ნატვრაც სასომიხდილი მიჯნურის სულიერი ვითარების ამსახველია:

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ
მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრე
სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ,
მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ,
დამფალთ სამარეს.
ვა სიცოცხლეო უკუღმართო,
დანაცარებო!

ასევე ჩივის პოეტის ორეული ბულბულიც:

სიკვდილო, მოდი, მიიბარე ბულბულის
სული!
მებაღემ დასწყლა და დაჭკოდა
ბულბულის გული.

ბესიკს უწერია ნაირი პოემები, ხოტბები, ეპისტოლენი, მაგრამ პირველხარისხოვანი პოეტის სახელი ბესიკმა დაიმკვიდრა უპირველესად ყოვლისა წვრილი ლექსების წყალობით. აღსანიშნავია, რომ ქართულ მწერლობაში [illegible] იყო [illegible] წუნდებული წვრილი ლექსების ჟანრი. როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველმა თავისი დიდი ავტორიტეტით დააკანონა ეპიკური ჟანრის უპირატესობის აზრი: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“-ო. ლირიკოსი რუსთაველს ჭეშმარიტ მოშაირედ არ მიაჩნია. ლირიკოსი მსუბუქი მელექსის სახელს თუ იმსახურებს მხოლოდ. მართალია, ლირიკული ლექსი გამოსადეგია „სანადიმოდ, სამღერელად, საამიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ და „ჩვენ მათიცა გვიამების“-ო, ასკვნის მხატვრული გემოვნების კანონმდებელი, მაგრამ ნამდვილი მოშაირის საპატიო წოდების სიგელს მაინც ეპიკოსს უთმობს.

დიდი და განუზომელი იყო რუსთაველის გავლენა ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაზე. ყოველი ღირსეული, და უღირსი, პოეტი თავის წმინდა მოვალეობად აღიარებდა შოთას წაბაძვას. შოთას დიდმა ავტორიტეტმა უკანა პლანზე გადასწია ლირიკული ჟანრების განვითარება. მე-18 საუკუნემ ამ მხრითაც სთქვა თავისი ახალი სიტყვა. ბესიკი ერთი პირველთაგანია ქართული ლექსის გადახალისების საქმეში. კერძოდ ბესიკი პირველმთქმელია (საიათნოვასთან ერთად) და სწორუპოვარი ოსტატი მუხამბაზური კილოს ლექსისა. საგულისხმოა, რომ მუხამბაზური ჰანგის მგმობელი ვახტანგ ორბელიანიც („მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა“) აღტაცებით ამბობს ერთ თავის ლექსში:

აქა ისმინენ ბესიკისას მღერას ციურსა...

ბესიკი ნამდვილი ვირტუოზია და კლასიკოსი ქართული მუხამბაზისა (მუხამბაზის სახეცვლილი ფორმაა მუსტაზადი). ამიტომაც იყო, რომ თანამედროვენი მას დიდად აფასებდნენ. მსწავლული ბატონიშვილი იოვანე ამბობს „კალმასობაში“: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოსი. მოშაირე მსგავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა“-ო. ასევე მაღალი აზრისაა ბესიკის პოეზიაზე თეიმურაზ ბატონიშვილი: „ესე ბესარიონ... ფრიად საქებელ არს და ქართველთა პიიტიკოსთა მიერ ფრიად ქებულ არს, და შერაცხიან რიცხვთა შორის პირველთა სტიხატვორთაცა“.

მომხიბლავი ოსტატობითაა აღბეჭდილი ბესიკის მხატვრული გამოსახვის საშუალებანი. მდიდრული და ორიგინალურია ბესიკის პოეტური ენა. მომაჯადოებელია ბესიკის ლექსის მუსიკალობა, ბგერული ჟღერა, ჰარმონიკა. ბესიკი რითმის ვირტუოზია. ბესიკმა შექმნა ახალი კლასიკური პოეტური თქმები („სევდის ბაღი“, „სევდის ლაშქარი“, „ცრემლთა ისარნი“ და სხვ.), გადაახალისა და გააცხოველა მხატვრული ფიგურალობა. ერთი სიტყვით, საოცარი მხატვრული სრულყოფისაა ბესიკის თითქმის ყველა ლირიკული ლექსი (პოემებში, განსაკუთრებით კი ოდებში, წერილებში და ზოგიერთ ლირიკულ ლექსშიც შეინიშნება რიტორიკულობით და ხელოვნურობით გადაჭარბების ტენდენციები).

ბესიკმა ხარკი გაიღო ქართული ხალხური პოეზიის მიმართაც. ხალხური პოეზიითაა შთაგონებული ბესიკის მრავალმხრივ შესანიშნავი პოემა „რძალ-დედამთილიანი“.

დასასრულ ცალკე აღსანიშნავია ბესიკის მშვენიერი იუმორისტულ-სატირული ლექსები. ჭაბუა ორბელიანის „სათრევად“ დაწერილი ლექსები, სატირული ჟანრის შედევრებია.

შალვა დადიანი და ქართული თეატრი

დ. ჯანელიძე

უნუგეშო იყო ქართული თეატრის ბედი რევოლუციამდე.

უბინაონი, უსახლკარონი, ნახევრად მშიერნი, ათვალისწუნებულნი, ქართველი აქტიორები აქა-იქ იკრიბებოდნენ და ჭრაქის სინათლეზე სპექტაკლს ამზადებდნენ. ოთხად მოკაკულნი უნდა წარმდგარიყვნენ ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორის წინაშე და დიდის მუდარით გამოეთხოვათ თავიანთ მშობლიურ ენაზე სპექტაკლის გამართვის ნებართვა. თავის დამცირებით, ხვეწნა-მუდარით უნდა ხლებოდნენ მათ მიწა-წყალზე ხალხის წვითა და დაგვით აშენებულ სახაზინო თეატრის დირექტორად მოვლინებულ პოლიციელს და დიდ ბედნიერებად უნდა მიეჩნიათ, თუ მისი აღმატებულება მოწყალებას მოიღებდა და „ტუზემცებს“ თეატრს დაუთმობდა ქართული სპექტაკლის გასამართავად.

აგირავებდნენ ცოლის მზითევს. ჰყიდდნენ ავეჯს, ტანისამოსს და შეგროვებული ფულით ქართული თეატრის განაწამებ სიცოცხლეს ახანგრძლივებდნენ, და როცა სახსარმოკლებული, პოლიციისაგან დევნილი ქართული სცენა ქართველ აქტიორებს ხელში უნდა შემოჰკვდომოდათ, დიდი ვასო აბაშიძე თავჩაქინდრული მიდიოდა მუხრან-ბატონის კარზე გროშების სათხოვნელად. ყველა გილდის ვაჭრებისთვის დუქან-დუქან უნდა ჩამოევლოთ და ქართული თეატრისათვის ფულს დასესხებოდნენ, და მერე, ვალის გადახდის ჟამს, შალვა დადიანი კუბოში წვებოდა — მოვკვდი, ჩემგან ვალის დაბრუნებას, რიჟინაშვილო, ნუღარ ელი...

18 წლისა იყო შალვა დადიანი ქუთაისის დრამატიული დასის მსახიობი რომ გახდა (1893 წ.). ნათესაობამ თავადიშვილის „ჯამბაზობა“ გვარის შერცხვენად მიიჩნია. დასი სამოგზაუროდ მიდიოდა. შალვას უკრძალეს დასს გაჰყოლოდა, მაგრამ ამხანაგებმა ღამით ფანჯრიდან გააპარეს, ქეჩაში ახალოხი ჩაცვეს და თან წაიყვანეს.

მოგზაური დასი რომ სამეგრელოში ჩავიდა, ხმა გავარდა: „ბატონისკუა დადიანი ბაზრობაზე ოჯამბაზებსო“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი მიაწყდა. უკმაყოფილონი დაიშალნენ, შალვა დადიანი რომ თოკზე არ დარბოდა.

1893-1899 წლებში შალვა დადიანი ქართული თეატრის დასშია. განსაკუთრებული ყურადღებით ახალგაზრდა მსახიობის ნიჭს ლადო მესხიშვილი მოეკიდა. შალვა დადიანი მისგან არის დავალებული თავისი აქტიორული ოსტატობის ზრდით და რეჟისორული დახელოვნებით.

1899 წლიდან 1907 წლამდე შალვა დადიანი დროგამოშვებით თუ გამოჩნდებოდა სცენაზე. ამხანად იგი ცოდნას ეწაფება, რუსეთის ქალაქებს მოივლის, ბევრს ნახულობს ფხიზელი თვალის ცნობისმოყვარეობით, შემოქმედებისათვის დიდ მარაგს იხვეჭს და იკრებს.

1907 წლიდან ისევ ქართულ სცენაზეა. სარეჟისორო მუშაობას იწყებს. ძალი ქართული სცენის სახელოვანი აქტიორი და შეუცვლელი რეჟისორი ხდება.

თავისი სასცენო მოღვაწეობის 45 წლის მანძილზე შალვა დადიანს 300-ზე როლი აქვს შესრულებული. მას, როგორც აქტიორს, იმ თავითვე დიდ ანგარიშს უწევდნენ, რაც მან დაიმსახურა სცენისადმი უსაზღვრო სიყვარულით, პასუხისმგებლობით აღსავსე გატაცებული მუშაობით.

რეცენზენტები აღტაცებით სწერდნენ შალვა დადიანზე, როგორც აქტიორზე: „მოქართულე კარგია, ხმა კარგი, თვალტანადობაშიაც კილს ვერ დავდებთ“ (გაზ. „ფონი“, 1909 წ., 11 ოქტ.) „სცენაზე შალვა დადიანს ახასიათებს ტანადობა, სასიამოვნო ხმის მტკბარი ბგერა, მოძრავი სახე, საუცხოო ქართული დიქცია, ბუნებრივი, როლთან შეფარდებული მიმოხვრა, განსახიერებული ტიპის სრული შეგნება და მუდამ შესაფერი გრიმი“ (ნარკანი). „შ. დადიანი დახელოვნებულა ფილოსოფოსების, პროფესორების, კომპოზიტორების, ლიტერატორების როლების ასრულებაში. მხოლოდ, ერთი საყვედური — გარდერობი არ უვარგა“ („Кутаиский листок“, 1910 წ., № 166). 1915 წელს რეცენზენტი თეატრალური სეზონის შეჯამებისას სწერდა: „შ. დადიანს საპატიო ადგილი ეკუთვნის, როგორც მსახიობს. დადიანი „გაუდეამუსში“ — მოხუცი სტუდენტის როლში, ან „სახაზინო ბინაში“ — ვალოდინის როლში იმდენად ბუნებრივი და კარგი იყო, რომ ბევრს აღუძრა სურვილი მისი სცენაზე ხშირად ხილვისა. როგორც მსახიობის“ („სახ. ფურცელი“, 1915 წ., № 407).

აი, შ. დადიანის რეპერტუარიც: „ოთარ-ბეგი და სულეიმან-ხანი — სუმბათაშვილის „ღალატში“, შაჰაბაზი — ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილში“, კარლ მოორი — შილერის „ყაჩაღებში“, ფონ-ვალტერი — შილერისავე „ვერაგობასა და სიყვარულში“, ფუშე-სარდუს „მადამ სან ჟენში“, რუსთაველი — კ. მესხის „შოთა რუსთაველში“, ლეონიძე — დ. ერისთავის „სამშობლოში“, მსახიობი — მ. გორკის „ნაძირალნში“, მირონოვი — ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისაში“, გაბრო — ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადაკეთებულ „ბატონსა და ყმაში“, პეტრე — ა. ყაზბეგის „არსენაში“, გელა და თეიმურაზ II — ა. წერეთლის „პატარა კახში“, დავით მებატონე და ციმბირელი — ა. ცაგარლის პიესებში „რაც გინახავს“ და „ციმბირელში“, გაიოზ ფალავა — ვ. გუნიას „და-ძმაში“, აბესალომ — დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“, პლატონ იოსელიანი — პ. უმიკაშვილის „სამზადისში“, თავადი ნიკო — ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილ მუხაში“, სიკო — ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეში“ და სხვ. რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ შ. დადიანს, როგორც მსახიობს, მაყურებლამდე დაჰყავს განცდის სიმართლე; რომ იგი მხატვრული სისადავით, ბუნებრიობით ჰქმნის დამაჯერებელ და ცოცხალ სახეებს, იჩენს მაყურებელთა მოხიბლვის ძალას, მაყურებლებზე ღრმა ზემოქმედების უნარს.

შ. დადიანს თეატრი თავიდანვე ცხოვრების გაუმჯობესების საბრძოლო იარაღად მიაჩნდა. 1912 წ. შ. დადიანის მიერ შედგენილი „მოგზაური დასის“ დეკლარაციაში ვკითხულობთ: „თუ ჩვენ დავადგებით უმრავლესობის თვალსაზრისს, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ სამოთხედ უნდა იქცეს, მაშინ გვერდს ვერ აუხვევთ იმ გარემოებას, რომ ამის მომწყობ საშუალებას იძლევა ცოდნა, ცოდნა კულტურული მეცნიერების და ხელოვნების ბურჯზე საძირკველ-გასკვნილი. თეატრი გვასწავლის ადამიანებს, გვწვრთნის, ვვკეთილშობილებს სულს, გვავითარებს და ამით გვიახლოვებს იმ მიზანს ჭეშმარიტებისას, რომელსაც ყველანი მივესწრაფებით. ამიტომ არის, რომ თეატრის მნიშვნელობა ეგრე დიდია, ეგრე მაღალი. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც თეატრს მხოლოდ გასართობ საგნად უყურებდნენ“.

ეს იყო დეკლარაცია ქართული რეალისტური თეატრისა, რომელსაც 1908 წლიდან შალვა დადიანი თაოსნობდა. ამისდამიხედვით ახდენს ის რეპერტუარის შერჩევას. შალვა დადიანი მოწადინებული იყო, სცენიური ხელოვნების მეშვეობით ხალხისთვის ცხოვრების სიმართლე აეხსნა, მისთვის სინამდვილის დასანახაო თვალები აეხილა, და ამ მიზანდასახულობით ჰქონდა მას შერჩეული რეპერტუარი. შ. დადიანი სდგამდა: ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან გადმოკეთებულ „ბატონსა და ყმას“, ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან გადმოკეთებულ „სოფლის გმირებსა“ და „ქრისტინეს“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ციმბირელს“, ა. ყაზბეგის „არსენას“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეს“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლს“, ჰეიერმანის „იმედის დაღუპვას“ და სხვ. შ. დადიანის მიერ შერჩეული რეპერტუარი ხალხს ამხედრებდა ცარიზმის კოლონიალური მჩაგვრელობის წინააღმდეგ. შ. დადიანი სდგამდა: სუმბათაშვილის „ღალატს“, ა. ცაგარლის „ქართველ დედას“, ა. წერეთლის „პატარა კახს“, დ. ერისთავის „სამშობლოს“ და სხვას.

შ. დადიანი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ორიგინალურ დრამატურგიას. თეატრში მისმა ხელმძღვანელობამ წინ წამოსწია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ნიჭიერი ძალები (ნ. ნაკაშიძე, ნ. შიუკაშვილი, ტ. რამიშვილი და სხვ.)

აღსანიშნავია, რომ შალვა დადიანმა, მიუხედავად ნაციონალისტური ბურჟუაზიული გარემოცვის წინააღმდეგობისა, ქართული თეატრის რეპერტუარში შეიტანა გორკის შესანიშნავი პიესები და მრავალჯერ წარმოადგინა პროლეტარიატის სახელოვანი შემოქმედის „ნაძირალნი“ და „უკანასკნელნი“ (1909-1933 წლებში), თანაც ესოდენი სიყვარულით და ყურადღებით იყო განხორციელებული ეს დადგმები, რომ პრესა იძულებული იყო აღენიშნა მათი დიდი მხატვრული წარმატება („სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 221).

განსაკუთრებით საყურადღებოა შალვა დადიანი როგორც რეჟისორი, როგორც ქართული თეატრალური კულტურის მშენებელი და ორგანიზატორი. აქაც შ. დადიანი ამჟღავნებს აქტიორული კოლექტივის შემჭიდროების უნარს. სთესს და ნერგავს საქმისადმი სიყვარულს, აჯანსაღებს მუშაობას დისციპლინის განმტკიცებით, პასუხისმგებლობის გრძნობით აღავსებს თავის გარშემო მომუშავეთ და აღწევს სპექტაკლების მხატვრულ სრულყოფას.

1907-11 წლებში შ. დადიანი ქუთაისის ქართულ თეატრს ხელმძღვანელობს. 1911—1914 წლებში „მოგზაურ დასის“ ხელმძღვანელია და მომსახურეობას უწევს ბათომს, სოხუმს, ფოთსა და ნოვოროსიისკის მუშებსაც კი. იმხანებში შ. დადიანმა ბევრი ძალა და ენერგია დახარჯა და საქმის გაძღოლის შესამჩნევი უნარიც გამოიჩინა. გაზ. „ამირანი“ 1908 წ. სწერდა: „ქუთაისის ამხანაგობის რეჟისორი შ. დადიანი ბევრსა ცდილობს თეატრი წესიერად მოაწყოს და ამმხრით იგი, რამდენადაც შესაძლებელია, ქუთაისის თეატრში სასწაულმოქმედებას იჩენს“ (№ 190).

იმ ხანებში თეატრი მეტად უფერული იყო. სპექტაკლები ისე არეული და უგემური იყო, რომ მაყურებელი გაურბოდა. შ. დადიანმა შესძლო საქმის გამოსწორება. 1910 წ. გაზ. „ნოვაია რეჩი“ სწერდა: „რეჟისორი დადიანი ჭირელთან ერთად დაუღალავად მუშაობს, რაც დაეტყო კიდეც სპექტაკლებს. თეატრმა საზოგადოების სიმპატიები დაიმსახურა, ხალხი მიეჩვია თეატრში სიარულს და ეჭვი არაა, სცენას შემდეგშიაც არ მოაკლდება მაყურებელი“ (№ 244).

შალვა დადიანის თაოსნობით თეატრი იმდენად გაჯანსაღდა, რომ მან ქართული სასცენო კულტურის აყვავების იმედებიც კი აღძრა, „ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ,—სწერდა იმდროინდელი რეცენზენტი,— პირდაპირ სახარბიელო ნაბიჯი წარსდგა წინ, რაც უფრო ემჩნევა ქუთაისის თეატრს. ქუთაისის დასის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისეთი რთული პიესები აღასრულეს ამ სეზონში მხატვრულად და მწყობრად (მხატვრული ანსამბლის დაცვით), რომ ყოველ ჩვენ კულტურის მომაგეს საფუძვლიანი იმედი მიეცა ჩვენი თეატრის აყვავებისა“ („სახ. გაზეთი“, 1911 წ. № 219-21). შ. დადიანმა მოიტანა ქართულ სცენაზე რეჟისორული კულტურა: „ყველა იმ ღირსებაში, რომლითაც შემკულია დღევანდელი ქუთაისის წარმოდგენები, დიდი ღვაწლი მიუძღვით რეჟისორებს“ (იქვე).

ცარიზმის სულის შემხუთველ პირობებშიაც კი ახერხებს შალვა დადიანი მხატვრული ანსამბლით გამართოს ქართული სპექტაკლი. ეს იმ დროისთვის ჩინებული საქმე იყო. მაგრამ საქველმოქმედოდ მიგდებული სცენა, სახელმწიფოებრივ ყურადღებას და მზრუნველობას მოკლებული თეატრი, ცხადია, დიდხანს ღირსეულ სიმაღლეს ვერ შეინარჩუნებდა და მალე ისევ უფერულობისა და უგემურობის ჭაობში უნდა ჩაფლულიყო, რამდენიმე წლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ დასი დაიშალა და შ. დადიანი იძულებული გახდა სხვაგან შეექმნა ახალი კერა ქართული სასცენო შემოქმედებისათვის.

1911 წ. შალვა დადიანი იწყებს ე. წ. „მოგზაური დასის“ ორგანიზაციას. 1912 წ. მუშაობას იწყებს ბათომის პირველი მუდმივი ქართული დასი. შ. დადიანმა თავი მოუყარა ახალგაზრდა ნიჭიერ ძალებს (ე. აბდრონიკაშვილი, ევ. წუწუნავა, მ. გელოვანი, ყალიბეგაშვილი, მურუსიძე, მგალობლიშვილი, ალუღიშვილი და სხვ.). შერჩეულ იქნა სათანადო რეპერტუარი, და სულ მალე ბათომის თეატრმა დიდი ყურადღება მიიპყრო.

გაზ. „თემი“, „მოგზაური დასის“ ბათომში ოთხი თვის მუშაობის შემდეგ სწერდა: „მოგზაურმა დასმა“ ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შესძლო საზოგადოებაში ნდობისა და პატივის დამსახურება. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ დასს იდეით გატაცებული ხელმძღვანელი უდგას სათავეში. ჩვენ გვინახავს ეს დასი ნივთიერი მხრით ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, რომ სხვა ვინმე, სუსტი ხასიათის მქონე უკვე დასტოვებდა დაწყებულ საქმეს, მაგრამ შ. დადიანმა საკმაო გამჭრიახობა გამოიჩინა და ყოველი ღონე იღონა, რომ საზოგადოებას მართლა შეუყვარებოდა თეატრი. ეს დაამტკიცა მან ცოცხალი მაგალითით, შრომითა და გამრჯელობით. გამუდმებული რეპეტიციები, მტკიცე დისციპლინა, როლების შესაფერი განაწილება,—ყველა ეს რეჟისორის სათანადო ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ (1912 წ. № 102).

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში

ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი საღამო

დეკემბრის ბოლო რიცხვებში მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ და კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ქუთაისის კულტურის სახლში მოაწყეს ახალგაზრდა კომკავშირული მწერლების შემოქმედებითი საღამო.

საღამოს დაესწრნენ წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენლები და სოფლისა და ქალაქის კომკავშირული აქტივი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომის მდივანმა ამხ. გ. იმნაიშვილმა.

მოხსენება თემაზე „ქუთაისის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება“ გააკეთა ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

დასასრულ ახალგაზრდა მწერლები ს. ახვლედიანი, გ. ნაფეტვარიძე, გ. იმედაძე, ვ. გვეტაძე, შ. ცანავა, შ. ტოგონიძე და მ. კაკიტელაშვილი გამოვიდნენ თავიანთი ნაწარმოებებით.

ლიტერატურული საღამოები მოსწავლეთათვის

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ სათანადო გეგმის მიხედვით ჩაატარა მუშაობა მოწაფეთა შორის არდადეგების დროს.

მწერლების სპეციალურმა ბრიგადამ დ. კვირკველიას, ბ. კეშელავას, ს. ისიანის, ს. ახვლედიანის, გ. ნაფეტვარიძის, შ. ჩარკვიანისა და ვ. გვეტაძის მონაწილეობით ჩაატარა საღამოები და შეხვედრები მოწაფეებთან პიონერთა სახლში, განათლების სახლში (მასწავლებლებისა და მოწაფეებისათვის), მეოთხე სრულ საშუალო სკოლაში, მეცამეტე სრ. საშ. სკოლაში და მეორე სრ. საშ. სკოლაში.

დ. თომაშვილის რჩეული ნაწერები

9 იანვარს ქუთაისის მწერალთა ბინაზე მოეწყო მხცოვანი პოეტის დომენტი თომაშვილის შემოქმედების საღამო.

მოხსენება დ. თომაშვილის პოეზიის შესახებ წაიკითხა ახალგაზრდა მეცნიერმა მუშაკმა ამხ. მიხ. ალავიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები შ. ჩარკვიანი, დ. კვირკველია, ს. ისიანი და ს. ახვლედიანი.

40 წელია, რაც დომენტი თომაშვილი ემსახურება ქართულ ლიტერატურას. იგი თავიდანვე მშრომელთა მხარეზე დადგა. მისი კალამი მუდამ პროტესტანტული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. დიადი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ თომაშვილი ახალი ძალით აამღერა. დღეს იგი კვლავ ახალგაზრდული ძალით უმღერის აყვავებულ სამშობლოს, ბედნიერ ხალხს.

ამჟამად უკვე შეგროვილია თომაშვილის რჩეული ნაწერები, რომლებსაც ცალკე წიგნად სცემს გამ-ბა „ფედერაცია“. წიგნის რედაქტორებად არიან რაჟდენ გვეტაძე და მიხ. ალავიძე.

ქართველ მწერალთა ბრიგადა აჭარაში

სასკოლო არდადეგებზე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გაემგზავრნენ მწერალთა ბრიგადები. მათ მომსახურება უნდა გაეწიათ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ერთ-ერთი ბრიგადა აჭარას ეწვია. მასში შედიოდნენ მწერლები: სსრკ უმაღლეს საბჭოს დეპუტატი შალვა დადიანი, ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატი ილო მოსაშვილი, ორდენოსანი პოეტი სანდრო შანშიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალ. ქეიშვილი, კარლო კალაძე.

მწერალთა ამ ჯგუფმა სამი დღე დაჰყო აჭარაში, მოაწყო ორი საღამო ბათომში, ერთი ქედაში და ერთიც ქობულეთში.

ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო მოსწავლეებმა, არამედ აჭარის მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ, კოლმეურნეებმა, მუშებმა, ინტელიგენციამ. შეხვედრა ყველგან მეტად გულთბილი იყო. ჩვენი მწერლები აღტაცებაში მოიყვანა ბედნიერი აჭარის ნიჭიერმა, მკვირცხლმა მოსწავლე ახალგაზრდობამ. ათი-თორმეტი წლის მოსწავლეები მიტინგებზე მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ. ყველაფერში იგრძნობოდა გულმხურვალე სიყვარული ჩვენი საბჭოთა ლიტერატურისადმი. მოწაფეები სტუმრად ჩამოსულ პოეტებს ეჯიბრებოდნენ მათივე ლექსების კითხვაში და ზოგჯერ ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუ ვინ ვის სჯობდა დეკლამაციაში. ახალგაზრდები საკუთარ ლექსებსაც კითხულობდნენ. ახალგაზრდები ყველგან ერთ საფუძვლიან სამდურავს გამოსთქვამდნენ სტუმრების მიმართ—ჩვენი მწერლები და პოეტები ძალიან ცოტას სწერენ ბავშვთათვისო. შეხვედრისას გამოდიოდა მეჩონგურეთა ანსამბლი, ეწყობოდა ცეკვა, ხორუმი, რომელშიც სულ პაწაწკინა, ხუთი-ექვსი წლის ბავშვებიც კი იღებდნენ მონაწილეობას. ნორჩ თაობასთან მოხუცი აჭარელი გლეხებიც გამოდიოდნენ.

ისინი იმედს გამოსთქვამდნენ, რომ ჩვენი მწერლები გაეცნობიან აჭარის მშრომელთა გმირულ რევოლუციურ წარსულს, მის ბედნიერ დღევანდელ დღეს და ასახავენ თავიანთ ნაწარმოებებში. ქართველმა მწერლებმა პირობა მისცეს, რომ დასწერენ აჭარის შესახებ ლექსების და მოთხრობების წიგნს. ამ შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ მწერალთა კავშირის აჭარის ფილიალის წევრები პარმენ ლორია, ნესტორ მალაზონია და შალვა იოსელიანი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მწერლები გაამართლებენ დანაპირებს და თავიანთ შემოქმედებაში ასახავენ აყვავებული ბედნიერი აჭარის ცხოვრებას.

შალვა დადიანი და ქართული თეატრი

(დასასრული)

1914 წ. შ. დადიანს „მოგზაური დასი“ ქუთაისში ჩაჰყავს და ორგანიზებული, მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლებით აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. გაზ. „ჩვენი ერი“ ამ წარმატებული წარმოდგენების შესახებ სწერდა: „უსაზღვრო ქუთათურებისაგან მადლობის ღირსია შალვა დადიანი და მასთან ერთად უეჭველად მთელი მისი ქართული დრამატიული დასი, რომ ჩვენი ქუთაისი გაიხსენეს და ორი ახალი პიესა გვიჩვენეს. მადლობა ბათომის დასს, მადლობა შ. დადიანს, ორ საღამოს მაინც თავიდან აგვაცილეს ჩვენებური იაფ-ფასიანი, ერთობ „იაფ-ფასიანი“ წარმოდგენები“ (1914 წ., № 23).

წარმოდგენები ამდროს მართლაც იაფ-ფასიანი იყო და რეცენზიებში ასეთი რამ იწერებოდა: „წარმოდგენები გვიან დაიწყეს, რაც საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევდა; რამდენჯერმე მსახიობთ როლი შეეშალათ და ჯავრი სუფლიორზე იყარეს: ზურგი შეაქციეს საზოგადოებას და სუფლიორს რაღაც შეუკურთხეს. სუფლიორი შეიძლება დამნაშავეა და შეკურთხების ღირსიც იყოს, მაგრამ სცენაზე ანგარიშის გასწორება არ შეიძლება“ („დროება“, 1909 წ., № 120). შალვა დადიანმა სცენა ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოიყვანა და პრესის ფურცლებზე გახშირდა შ. დადიანის მოხსენება: „დადიანმა ნათლად დაგვანახა, რომ იგი საკმაო უნარის, ალღოსი და გემოვნების რეჟისორია“ („სახ. ფურცელი“, 1915 წ., №407). გაზეთები სწერდნენ, რომ შალვა დადიანმა და მასთან თანამებრძოლმა რეჟისორებმა ახალი მიმართულება მისცეს ქართულ სცენიურ შემოქმედებასო. რა იყო ეს ახალი?

იმდროინდელი კრიტიკოსი სწერდა: „ჩვენი სასცენო ხელოვნება, ჩვენი რეჟისორები სულ ახალ გზას ადგიან თეატრის საქმეებში. იგინი სცდილობენ მთელი პიესა, თავიდან ბოლომდე, მხატვრულად, მწყობრად იყოს აღსრულებული; დაცული იყოს და გატარებული მთელ წარმოდგენაში სტილი და მანერა, კილო და იერი ნაწარმოებისა... უწინ მთელი პიესა მარტო ერთის მომქმედის პირისათვის იყო ხოლმე წარმოდგენილი, დანარჩენებს კი, თუ გინდ უბრალო სტატისტები ყოფილიყვნენ არავინ ყურადღებას არ აქცევდა, სცენაზე მარტო ერთი მზე ანათებდა... ძველი მიმართულება დრამატიულ ნაწარმოებში მარტო ერთ პირადობას ხედავდა და აქცევდა ყურადღებას. ახალი სასცენო ხელოვნება.. მთელ ცხოვრებას აქცევს ყურადღებას, დრამატიულ ნაწარმოებში გამოხატულს და ამიტომაც ყოველი მომქმედი პირი, ყოველი სიტყვა მომქმედი პირისა ერთგვარად მნიშვნელოვანია“ („სახალხო გაზეთი“, № 218).

შ. დადიანმა მოიტანა ანსამბლური სპექტაკლების ტრადიცია ქართულ სცენაზე. რეჟისორული მუშაობის ახლებური გაგება და გამიზნვა, მაგრამ თანმიმდევრობით ამ მხატვრული პრინციპის გატარება და დანერგვა ცარიზმის პირობებში შეუძლებელი იყო.

შალვა დადიანს ასზე მეტი სხვადასხვა პიესა აქვს დადგმული.

შალვა დადიანი ნამდვილი სახალხო შემოქმედია. ის არას დროს არ ჩაკეტილა რომელიმე თეატრის კედლებში. მოამზადებდა თუ არა სპექტაკლს, მაშინვე პროვინციებს ჩამოუვლიდა. სოხუმიდან კავკავამდე, ფოთიდან ბაქომდე, ბათომიდან ნოვოროსისკამდე. დაჰყავდა მას საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მოგზაური დასები და ხალხში სთესდა პროგრესიულ მოწინავე იდეებს, აღვივებდა უსამართლობასთან ბრძოლისა და შეურიგებლობის განწყობილებას, სცენიური საშუალებებით უამბობდა ხალხს სიმართლეს ცხოვრების შესახებ.

1914-15 წლებში მან შეკრიბა სცენის მოყვარენი ბაქოში და შექმნა ქართული თეატრი, საიდანაც სპექტაკლები ხშირად გადაჰქონდა მუშათა რაიონებში — ბალახანაში და სხვაგან.

1922-23 წლებში შ. დადიანი ხელმძღვანელობს მოსკოვში არსებულ ქართულ სახელმწიფო დრამატიულ სტუდიას, რომელმაც გამოზარდა მსახიობებისა და რეჟისორების მთელი თაობა.

შალვა დადიანს დამსახურება მიუძღვის აგრეთვე მსახიობთა პროფესიული ინტერესების დაცვის, აქტიორთა პროფესიონალური კავშირის დაარსების საქმეშიც. 1914 წ. შ. დადიანის ინიციატივით ჩამოყალიბდა მსახიობთა პროფ. კავშირი.

45 წელი ემსახურა შალვა დადიანი ქართულ სცენას. ხალხის საყვარელი მწერალი ეხლა ბედნიერი მონაწილეა მშობლიური თეატრალური კულტურის არნახული აყვავებისა. საბჭოთა მთავრობამ შალვა დადიანს, თეატრის დარგში მისი მოღვაწეობის აღსანიშნავად მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება. პარტიამ, ხალხმა უდიდესი ნდობით აღჭურვა სახალხო შემოქმედი და იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავის დეპუტატად წარგზავნა.

დღეს ბედნიერი საბჭოთა ხალხი შალვა დადიანს უხდის სამწერლო მოღვაწეობის 45 წლის თავს.

პუშკინის გამოფენა

(მოსკოვი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პუშკინის საიუბილეო დღეებში მოსკოვში გაიხსნა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გრანდიოზული გამოფენა. მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელმაც გაიარა მისი გახსნის შემდეგ, ამ გამოფენამ უდიდესი როლი ითამაშა პუშკინის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში. გამოფენა ინახულა მრავალმა ათასმა მუშამ, კოლმეურნემ, მოსამსახურემ, მოწაფემ, იგი ინახულა ურიცხვმა ექსკურსანტმა. გამოფენა თანდათან მდიდრდება ახალი საინტერესო ექსპონატებით, ასე რომ უკანასკნელ ხანებში იგი საგრძნობლად შეივსო ახალი, უაღრესად საინტერესო დოკუმენტებით.

თავისთავად, ეს მუდმივი გამოფენა მრავალმხრივ არის საინტერესო. ყოველი ექსპონატი აქ ულრმესი ცნობისმოყვარეობის სავანი ხდება. აი ბატის ფრთის კალამი, რომლის წვერსაც ახლაც ამჩნევია მელნის შავი ფერი და რომელიც ერთი საუკუნის წინათ ხელში ეჭირა რუსი ხალხის უდიდეს მესიტყვეს, რუსული ლიტერატურის ჩაუქრობელ ვარსკვლავს — პუშკინს.

მთელს საბჭოთა კავშირში პუშკინის მხოლოდ ორი ასეთი ფრთის კალამია დარჩენილი. ერთი ლენინგრადის მუზეუმში ინახება და მეორე აქ.

დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე პუშკინის საწერი მაგიდა. ეს მაგიდა ჩამოტანილია სოფ. ბოლდინოდან. იგი ჩვეულებრივი ხის მაგიდაა, რომელიც არ გამოირჩევა არც სილამაზით, არც ოსტატური ფიგურებით და არც რაიმე ესთეტიკური ამოკვეთილობით. ამ მაგიდაზე იწერებოდა ამაღელვებელი სტრიქონები, სტროფები, ამ მაგიდაზე დაიწერა პოემები, ლექსები, ეპიგრამები, დრამები, მოთხრობები, რომელთაც ულრმესი გატაცებით კითხულობენ და სწავლობენ დღეს ჩვენს ქვეყანაში.

პუშკინის სახელმწიფო გამოფენის მიზანია — გვიჩვენოს დიდი პოეტის ცხოვრება, მისი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან და დაღუპვა ამ ბრძოლაში, გვიჩვენოს მისი შემოქმედებითი გზის ევოლუცია. ყველა წიგნი, სურათი, ამონაბეჭდი, ხელნაწერი, ბარათი ემსახურება ამ დიდ და მეტად საპატიო მიზანს.

ჩვიდმეტ უზარმაზარ დარბაზშია გამართული პუშკინის გამოფენა, ყოველ ექსპონატს ატყვია გამოცდილი ხელი, საქმისადმი სიყვარული, მეცნიერული სიფრთხილე და სიფაქიზე.

საოცარი სიმრავლითაა გამოფენილი პოეტის ხელნაწერები.

აი, მეოთხე დარბაზი, მასში მოცემულია პუშკინის გადასახლება სოფ. მიხაილოვსკში და დეკაბრისტებთან დამოკიდებულება. ეს დარბაზი მდიდარია ავტოგრაფებით.

ამავე დარბაზშია პუშკინის მიმოწერა დეკაბრისტებთან: ა. ბესტუჟევთან, კ. რილეევთან და ვ. კიუხელბეკერთან. წარმოდგენილია დეკაბრისტების სურათები.

ერთ ხელნაწერში, „პოლტავას“ ავტოგრაფში, პუშკინის ხელით დახატულია მაღალი სახრჩობელა და ხუთი ჩამოხრჩვალი, რაც დეკაბრისტების დასჯას ნიშნავდა.

მეტად მდიდარია პუშკინის თარგმანების დარბაზი. პუშკინის, საბჭოთა ხალხის უდიდესი პოეტის თარგმნა სხვადასხვა ეროვნების ენაზე შესაძლო გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ლენინურ-სტალინური დიადი ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გატარების შემდეგ.

პუშკინის ნაწარმოებნი თარგმნილია საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხთა ენაზე. მთელი დარბაზის კედლები, კარადები, ვიტრინები მოფენილია სხვადასხვა ენაზე თარგმნილი პუშკინის ნაწერებით.

ქართული თარგმანების განყოფილებაში წარმოდგენილია „ტფილისის უწყებანი“ (1832 წლისა, № 5), „ცისკარი“ ივ. კერესელიძის რედაქტორობით (1857 წ.) წიგნი მერვე, „რუსეთის მგოსანი ა. პუშკინი, მისი ცხოვრება და ლექსები“ შედგენილი ი. წინამძღვრიშვილის მიერ (1899 წ. გამოცემა), რ. ერისთავის თხზულებანი, ტომი მეორე, სადაც მოთავსებულია პუშკინის ორი ნაწარმოების თარგმანი — „ძუნწი რაინდი“ და „ზღაპარი ოქროს თევზსა და მეთევზეზე“, „ქართული მწერლობა“, № 6-7 (1927), რომელშიაც მოთავსებულია „სიმღერა გრძნეულ ოლეგზე“, თარგმნილი ვ. გაფრინდაშვილის მიერ, დუტუ მეგრელის „ლექსები“ (1909 წ.), სადაც დაბეჭდილია „ძეგლის“ თარგმანი. თანამედროვე თარგმანები: „კაპიტანის ქალიშვილი“ თარგმნილი შ. დადიანის მიერ, „ევგენი ონეგინი“, თარგმნილი გ. ცეცხლაძის მიერ და სხვ.

ვიტრინის მინებზე გამოკიდულია მიხ. თუმანიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, დუტუ მეგრელის პორტრეტები. იქვეა პორტრეტები კოლასის, პავლო ტიჩინასი და უკრაინის კლასიკოსის, პუშკინის დრამატიულ ნაწერთა პირველი მთარგმნელის ივანე ფრანკოსი.

მდიდრადაა წარმოდგენილი პუშკინის უცხოური თარგმანები: ჩინურზე, იაპონურზე, პოლონურზე, თურქულზე, ჩეხურზე, გერმანულზე, ფრანგულზე, ინგლისურზე, ესპანურზე, ბერძნულზე.

მეცხრე დარბაზში წარმოდგენილია ის ფოლკლორული მასალა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს პუშკინის შემოქმედებასთან. იქვეა თვით პუშკინის ზღაპრები ილუსტრაციებით: „ზღაპარი მეფე სალთანზე“, „ზღაპარი ოქროს თევზზე“ და სხვები.

გამოფენაზე საერთო ყურადღებას იქცევს ჩერნეცოვის მიერ შესრულებული, ოქროსფერ სქელ ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული სურათი ტფილისისა. ამ სურათზე საუცხოოდ არის გამოხატული ძველი ტფილისი.

ამ სურათს ზევით პუშკინის ხელით დახატული სურათია პეიზაჟური ხასიათისა. ეს სურათი პუშკინს შეუსრულებია საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობის დროს.

გამოფენაზე არის პუშკინის უზარმაზარი ფიგურა ბრინჯაოსი: პუშკინი-ლიცეისტი (რ. ბახის სკულპტურა, 1899 წ.). პუშკინი ზის სკამზე, გვერდით უდევს ცილინდრი; იქვეა დიდი ძეგლი: პუშკინი დგას ფეხზე, ხელში ცილინდრით, დაღვრემილი გაჰყურებს მოსკოვის ცას. ამგვარივე ძეგლი სდგას მოსკოვში პუშკინის მოედანზე.

პუშკინის სახელმწიფო გამოფენა თვალწინ გვიშლის პოეტის დიდ ლიტერატურულ განძს, რომლის ჭეშმარიტი მემკვიდრე ჩვენი ქვეყანაა.

გიორგი გიასელი

მაიაკოვსკის ახალი დოკუმენტები და გამოცემები

ვლადიმირ მაიაკოვსკის ბიბლიოთეკა-მუზეუმში თავმოყრილია პოეტის არქივიდან მეტად საინტერესო მასალა: ხელნაწერები, უბის წიგნაკები, დედნები, მანქანაზე გადაბეჭდილი ავტორის ხელით გასწორებული ლექსები, წერილობითი შეკითხვები, რომლებსაც პოეტი იღებდა მსმენელებისაგან დისკუსიებისა და მოხსენებების დროს და სხვა მრავალი საბუთი.

ბიბლიოთეკის მუშაკები, ამუშავებენ რა არქივის მასალას, იმავე დროს ატარებენ საუბრებს იმ ადამიანებთან, რომლებიც მაიაკოვსკის იცნობდნენ მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. ამ გზით გროვდება დიდძალი ახალი მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება მაიაკოვსკის ბიოგრაფიის შედგენის დროს.

მაიაკოვსკის თხზულებათა რედაქციამ მიმართა თხოვნით ყველა იმ პირსა და დაწესებულებას, რომელთაც რაიმე მასალა და საბუთები აქვთ მაიაკოვსკის შესახებ, გადასცენ ისინი პოეტის ბიბლიოთეკა-მუზეუმს.

მიღებულია აგრეთვე მრავალი ახალი საბუთი მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მოსკოვის ქალაქის საფინანსო სამართველომ მუზეუმს გადასცა საბუთები, რომელთა შორის არის მაიაკოვსკის განცხადება. ეს განცხადება საუცხოვო კომენტარიაა ლექსისა „საუბარი პოეზიაზე ფინინსპექტორთან“. ბიბლიოთეკა-მუზეუმმა შეიძინა სამი პლაკატი, რომელთა წარწერები შედგენილია მაიაკოვსკის მიერ 1917 წელში.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პოეტის უბის წიგნაკი, რომელიც შეიცავს 1920-21 წლების ჩანაწერებს. ამ წიგნაკში მაიაკოვსკის ხელით ჩაწერილია მისი ცნობილი ლექსი „სვოლოჩი“ და ორი ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსი.

მიმდინარე წელს მხატვრული წიგნის ყველა გამომცემლობის გეგმებში შეტანილია მაიაკოვსკის თხზულებათა გამოცემა. რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა“ ამზადებს გამოსაცემად პოეტის თხზულებათა სრულ კრებულს 12 ტომად. ამ თხზულებების გამოცემა უნდა დამთავრდეს მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის შესრულების დღეებში.

ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა 1939 წელს გამოსცემს მაიაკოვსკის რჩეულ ნაწერების ერთტომეულს, მისი ლექსების ცალკე კრებულებს და პოპულარულ ბროშურას პოეტის შემოქმედებაზე. ამავე დროს ვ. პერცოვი სწერს მაიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დიდ მონოგრაფიას. გარდა ამისა, გამომცემლობაში სწარმოებს წინასწარი მზადება მაიაკოვსკის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის.

საზღვარგარეთ

კონკურსი სახვითი ხელოვნების დარგში

ესპანეთის სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა, ყოველ სამ თვეში ერთხელ ჩაატაროს კონკურსი სახვითი ხელოვნების დარგში. კონკურსის მიზანია — გასაქანი მისცეს და დააწინაუროს ნიჭიერი ახალგაზრდობა. ამასწინათ ბარსელონაში გაიხსნა კონკურსზე წარდგენილ ნაწარმოებთა პირველი გამოფენა. გამოფენილია ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და გრავიურის ნიმუშები.

„ნაციონალური პრემიები“

მას შემდეგ, რაც ნობელის პრემია მიენიჭა კარლ ოსეცკის და მით მთელი მსოფლიოს წინაშე დაგმობილ იქნა პირსისხლიანი ფაშიზმი, ჰიტლერის მთავრობამ აუკრძალა გერმანელ მოქალაქეებს მიიღონ რაიმე პრემია უცხოურ სახელმწიფოებისაგან. იმავე დროს გერმანიაში დააწესეს „ნაციონალური პრემიები“. ნობელის პრემიები ეძლევათ გამოჩენილ მეცნიერებსა და მწერლებს. ვის მიეცა ფაშისტური „ნაციონალური პრემიები“?

როგორც პრაღის გაზეთი „როტე ფანე“ იუწყება, ერთი პრემია მიიღო ავტოტრანსპორტის საგზაო ინსპექტორმა ტოდტმა. შემდეგ პრემია მიეცა ეგრეთწოდებულ „სახალხო ავტომობილების“ კონსტრუქტორს. ეს ავტომობილები ფართო მოსახლეობისათვის მიუწვდომელია. ისინი ემსახურებიან სამხედრო მიზნებს. ორივე პრემია ასი ათასი მარკით განისაზღვრება. მესამე პრემია—100000 მარკა—განაწილებულ იქნა მესერშმიდტისა და ჰეინკელის თვითმფრინავების კონსტრუქტორთა შორის. ამ თვითმფრინავებს კარგად იცნობენ რესპუბლიკური ესპანეთის მშვიდობიანი მცხოვრებლები.

პრემიების ასე განაწილება ნათელჰყოფს, რომ ფაშისტურმა გერმანიამ პრემიის ღირსად არა სცნო არც ერთი მეცნიერი, არც ერთი მწერალი. მათი ადგილი დაიჭირეს ყუმბარმზიდების კონსტრუქტორებმა და სტრატეგიული გზების მშენებლებმა. კულტურის დაცემა და განადგურება,— ასეთია ფაშიზმის გზა — დაასკვნის გაზეთი.

ჯოზეფ კონრადისადმი მიძღვნილი გამოფენა

ამ რამდენიმე ხნის წინათ იელსკის უნივერსიტეტში (ამერიკის შეერთებული შტატები) გაიხსნა ცნობილ მწერალ ჯოზეფ კონრადისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენილია ინგლისსა და ამერიკაში დაბეჭდილი მწერლის ნაწარმოებთა პირველი გამოცემები, სხვადასხვა დოკუმენტები მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდის შესახებ, მისი კერძო წერილები და სხვ.

გამოფენილ მასალაში ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს კონრადის წერილები, რომლებშიაც იგი საყვედურს აცხადებს ლონდონელ მკითხველთა გულგრილი დამოკიდებულების გამო. აღსანიშნავია, რომ ჯოზეფ კონრადი, მაშინაც კი, როდესაც იგი შემოქმედებითს აღმავლობას განიცდიდა, ინგლისში არ იყო პოპულარული. მწერალს აფასებდნენ ინგლისის ინტელიგენციის მხოლოდ ვიწრო წრეები. ჯოზეფ კონრადი ერთ წერილში, თავისი რომანის „ნეგრი ნარცისიდან“ პირველი გამოცემის გამო, სწერს: „მე ვიცი, რომ ჩემი რომანი თანამედროვე ინგლისური პროზის საუცხოო ნიმუშია. ჩემი ნაწერების გამომცემლები კი გასართობ საზღვაო მოთხრობების ავტორად მთვლიან. მე მგონია, რომ ინგლისელებს ვერ უპატიებიათ ჩემთვის ის, რომ მე უცხოელი ვარ, ვასწავლი მათ, როგორ უნდა სწერონ ინგლისურად. მე კი ვერ წარმომიდგენია სხვა რომელ ენაზე შემეძლო ასე წერა?“

გოლივუდში არ მიიღეს

ჰიტლერის პირადი „მეგობარი“, გერმანელი კინომსახიობი ქალი ლ. რიფენშტალი, რომელსაც ირონიულად გერმანიის კინოს „ფიურერს“ უძახიან, გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ მიზნით, რომ ენახა გოლივუდი და გასცნობოდა ამერიკის მსხვილ კინო-კომპანიების მუშაობას, მაგრამ გოლივუდში, გაითვალისწინეს რა მსახიობთა და ტექნიკურ მომუშავეთა უმრავლესობის ანტიფაშისტური განწყობილება, გადაჭრით უარი სთქვეს ჰიტლერის „მეგობრის“ მიღებაზე.

საინტერესოა, რომ ანალოგიური შემთხვევას ჰქონდა ადგილი მუსოლინის შვილის ვიტორიოს გოლივუდში მისვლისას. მას ეგონა დიდის ტრიუმფით შეხვდებოდნენ, ნამდვილად კი კინო-ქალაქში იგი სრულიად არ მიიღეს.

თედო რაზიკაშვილი

1869-1922

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო რაზიკაშვილი ვაჟას უმცროსი ძმა იყო. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ის ცნობილია ბევრი კარგი ლექსით, შესანიშნავი საბავშვო მოთხრობებით და ხალხური ზეპირსიტყვიერების შემკრებ-შემსწავლელის სახელით.

თედო პავლეს-ძე რაზიკაშვილი დაიბადა 1869 წელს, 16 ნოემბერს, სოფ. ჩარგალში. ექვსი წლის თედო ჩარგალის სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ მალე სკოლა დაიხურა. 1882 წელს თედოს ძმა, პოეტი ვაჟა-ფშაველა დანიშნეს მასწავლებლად ტოლათ სოფელში (ერწო) და მან უმცროსი ძმა იქ შეიყვანა სკოლაში. ვაჟასთან თედომ ერთი წელი დაჰყო. იმავე წლის აგვისტოში თედო მეორე ძმამ, ნიკომ (ბაჩანამ) გორში ჩაიყვანა და სემინარიასთან არსებულ რუსულ სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში ჩააბარებინა გამოცდა. იქიდან თედო მოსამზადებელ კლასში გადავიდა, ხოლო შემდეგ—გორის საოსტატო სემინარიაში მოეწყო. 1889 წელს თედომ სემინარია საუკეთესოდ დაამთავრა.



1890 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თედო სოფ. ხელთუბნის სკოლის მასწავლებლად დანიშნა. იქ მან დაჰყო 1905 წლის 11 ივნისამდე. ამ რიცხვიდან მთავრობის განკარგულებით სკოლა დაიკეტა და თედო დაითხოვეს. ხოლო იმავე წლის 12 სექტემბერს ის დაიჭირეს, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის და ოლონეცკის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტეს, საიდანაც მანიფესტის შემდეგ დაბრუნდა.

1906 წელს, რეაქციის პერიოდში, ისევ დაუწყეს ძებნა დასაჭერად, მაგრამ თედო ძმებთან გაიხიზნა მთაში. თვითონ ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში სწერს: „იანვრის ოცდასამში ისევ მომიკითხეს, მაგრამ რაკი ადრევე თავი გავარიდე, სახლ-კარი დამინგრიეს ზარბაზნებით და მერე დასწვეს, ვითომ ასე ამომფხვრეს ჩემში მთავრობისადმი მრავალწლობით გულში ჩამარხული მძულვარება და ზიზღი“.

თედოს შემოქმედებითი მუშაობის დაწყების სტიმული ოჯახმა მისცა, ნიჭიერი მშობლებისა და ძმების მეოხებით თედოს გულში ჩაინერგა ქართული ლიტერატურის სიყვარული. ამასთან გორის სემინარიაში თედოს მასწავლებლად იყო ცნობილი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური, რომელიც მუდამ აქეზებდა მას ამ დარგში მოღვაწეობისათვის.

თ. რაზიკაშვილის პირველი ლექსი „გუთნის დედის სიმღერა“ 1890 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილში“.

თ. რაზიკაშვილის მოთხრობებს ახასიათებს ალეგორიული ფორმა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ფაქტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელზედაც მწერალს არ გაეცეს პასუხი. ეს დიდად საყურადღებო მოვლენები მას გამოხატული აქვს თავისი შესანიშნავი პროზის ნიმუშებში ცხოველთა და მცენარეთა სამყაროდან. „გაზაფხული“, „ნიბლია“, „იის ამბავი“, „კოდალა“, „ფითრი“, „რქიანი“, „სვავი“, „ცირცელი“ და სხვა ნაწერები მაღალი ღირსებით აღჭურვილი ნაწარმოებებია.

თ. რაზიკაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ორი მთავარი მომენტია სრულყოფილი და შესამჩნევი; ორი ნაკადი. პირველი დემოკრატიული მომენტი, როგორიც მთავარი თედოს პოეტურ და ბელეტრისტულ შემოქმედებაში, მეორე —ეროვნული პრობლემა. ეს ორი მთავარი წყარო—ბრძოლა ჩვენი ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის — განსაზღვრავდა თ. რაზიკაშვილის შემოქმედებას, მის იდეურ და თემატიურ შინაარსს და ყოველივე ეს სრულყოფილადაა მოცემული მწერლის ნაწერებში.

მწერალი თავის მოთხრობებსა და ლექსებში რეალისტურად გვისურათებს ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ სოფელს. გლეხის ჭირ-ვარამს და მის მწუხარე აწმყოს:

„რა იცით, როგორ ძნელია
მიწის ჩახედვა მუდამა,
ლუკმის გულისთვის იმის წინ
ჭადის ხრა, თხოვნა, მუდარა,
ცა-ღრუბელთა დაუდევრობა,
სიმშილ-სიტიტვლის მუქარა“.

სოციალურ საკითხს მწერალმა მრავალი ლექსი, მოთხრობა და პოემა მიუძღვნა. ამ მხრივ აღსანიშნავია: „მოვლენ, მოვლენ!“, „ცასწავალამ როგორ მოიხვეჭა სახელი“, „ყორანი“, „წყალი მოვიპარეთ“ და სხვა მრავალი.

ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის მოტივებს მწერალი ეხება მოთხრობებში: „ფითრი“, „გარიელა“, „ცირცელი“ და სხვ. თ. რაზიკაშვილის მოთხრობა „ფითრი“, რომელიც ამ საკითხს ეხება, იმდენად მოეწონა აკაკი წერეთელს, რომ სპეციალური წერილიც კი მიუძღვნა. აკაკი სწერდა: „ეს არის ისტორია ჩვენის ცხოვრების და იმავ დროს ებრაული წინასწარმეტყველობა მომავალზე. და ვინც გულდადებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთად იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენს მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოვებულიაო“.

თ. რაზიკაშვილი თავის დროზე პოპულიარული მწერალი იყო, განსაკუთრებით საბავშვო ლიტერატურის დარგში. მის ნიჭსა და უნარს ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ აფასებდნენ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ბევრჯერ აზრი გამოუთქვიათ და მაღალი შეფასება მიუციათ თ. რაზიკაშვილის შემოქმედებისათვის: აკაკი წერეთელს, ალ. ხახანაშვილს, კიტა აბაშიძეს, ილია ნაკაშიძეს, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას, მარიამ დემურიას, ნიკო ლომოურს და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთ.

თ. რაზიკაშვილის ნაწერების მცირე ნაწილი გამოცემულია ცალკე წიგნებად. მწერლის სიცოცხლეში, 1903 წელს, გამოვიდა ცალკე წიგნად საბავშვო მოთხრობა „მურია“. 1903 წელს დაიბეჭდა ორ წიგნად თედოს მიერ შედგენილი „ხალხური ზღაპრები“, კახეთს, ქართლსა და ფშავში ჩაწერილი. მწერლის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა დიდძალი მასალა ხალხური ზეპირ-სიტყვიერებიდან საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში—„ძველი საქართველო“ (ტომი 3), რომელიც გამოდიოდა ცნობილი მკვლევარის ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით 1913-1917 წლებში. 1925 წელს გამოვიდა აგრეთვე თ. რაზიკაშვილის მოთხრობები ცალკე წიგნად.

გასულ წელს რუსულად სთარგმნეს თედოს ორმოცდათორმეტი ზღაპარი, რომლებიც შეტანილია წიგნში: „Грузинские сказки“. მოსკოვი, 1937 წ.

ასეთია თ. რაზიკაშვილის ნაწერების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. მწერლის საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა დღემდე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და საჭიროებს გამოცემას.

თ. რაზიკაშვილი მოჰკლეს 1922 წლის 19 იანვარს სოფ. ხელთუბანში დღესასწაულზე ატეხილი ჩხუბის დროს.

ერთი თვის შემდეგ მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით, თედოს ნეშტი გადმოასვენეს ტფილისში და დაკრძალეს დიდუბის მწერალთა პანთეონში.

თედო რაზიკაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარია. საჭიროა მისი შესწავლა და გამოცემა.

დავ. შამათავა.

ახალი წიგნები

გორკის უკანასკნელი მოთხრობები

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მაქსიმ გორკის მოთხრობების კრებული. ამ კრებულში მოთავსებულია მხოლოდ ის მოთხრობები, რომლებიც გორკის დაუწერია თავისი ცხოვრების უკანასკნელი თორმეტი წლის (1924-1936) განმავლობაში („ანეგდოტი“, „რეპეტიცია“, „ცისფერი ცხოვრება“ და სხვ.). კრებულში მოთავსებული ზოგიერთი მოთხრობა („მოთხრობები გმირებზე“, „ეკზეკუცია“, „არწივი“, „ხარი“ და სხვა) დაიბეჭდა მხოლოდ ჟურნალებში და ცალკე გამოცემულ მწერლის თხზულებებში არ შესულა.

ი. გრიშაშვილის ლექსები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა სცემს ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსების წიგნს. წიგნში თავმოყრილია ლექსები სკოლამდელ ჰასაკის ბავშვთათვის.

„დავით სასუნცის“ მხატვრული გამოცემა

სომხეთის ხალხური ეპოსის „დავით სასუნცის“ ათასი წლისთავის ჩამტარებელი საიუბილეო კომისია სცემს ამ პოემის რუსულ თარგმანს. პოემა თარგმნილია ლექსად. ამ გამოცემისათვის ილუსტრაციები შეკვეთილი აქვთ მოსკოველ გრავიორებს ა. განჩაროვსა და მ. პიკოვს. მხატვრებმა ერთ თვეს დაჰყვეს სომხეთში, სადაც ისინი გაეცნენ ბუნებას, სიძველეთა ძეგლებს, სომხურ მინიატურებს. უამრავი მასალა (ნახაზები, ეტიუდები) შეაგროვეს მხატვრებმა სომხეთში მოგზაურობის დროს. ამ მასალას გამოიყენებენ ისინი „დავით სასუნცის“ დასურათების დროს.

პარაშუტი

სკოლამდელ ჰასაკის ბავშვთათვის იბეჭდება მარიჯანის ლექსების წიგნი „პარაშუტი“. წიგნს სცემს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 5062